10008

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
5 სექტემბერი
1940 წ.
№ 206 (5907)
ფასი 10 კაპ.

სამხრეთ-ოსეთის ხალხის აყვავებული ხელოვნება

გუშინ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დიდი კონცერტით დასრულდა სამხრეთ-ოსეთის ხალხის ხელოვნების ჩვენება. დღეს საქართველოს მწერალთა კლუბში გაიმართება სამხრეთ - ოსეთის საბჭოთა მწერლების საღამო, რომელზეც თბილისის მშრომელები გაეცნობიან ოსი მწერლების შემოქმედებას.

მოძმე ხალხთა ხელოვნებისა და კულტურის მიღწევათა გაცნობის დიდებული ტრადიცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ფართოდ დამკვიდრდა, უდიდესი პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მას საბჭოთა მხატვრული კულტურის ზრდა-განვითარებისათვის. ეცნობიან რა ერთმანეთის ხელოვნებას, ჩვენი ხალხები ავსებენ თავის მიღწევებს მოძმეთა გამოცდილებით და წინ მიჰყავთ საერთო სოციალისტური კულტურის საქმე. მსგავსი მოვლენა ისტორიას არ ახსოვს არცერთ ქვეყანაში, გარდა ჩვენი მზიანი ქვეყნისა, რომელიც გაბრწყინვებულია კაცობრიობის უდიდესი მასწავლებლების ლენინისა და სტალინის გენიით.

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა ნახეს პატარა ხალხებზე ლენინ-სტალინის პარტიის ბოლშევიკური მზრუნველობის შესანიშნავი ნაყოფი. ჩვენ ვნახეთ ხელოვნება, რომლის აღორძინებას, დავაჟკაცებასა და გაფურჩქვნას დიდი ამაგი დასდო ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ, ვინც შთაუნერგა ქართველ ბოლშევიკებს ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული, ერთგულება და შეუნელებელი ზრუნვა საქართველოს ხალხთა ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური ხელოვნების აყვავებისათვის.

ორდენოსანი საქართველოს მშრომელებმა იგემეს ამ დიდი მზრუნველობის ნაყოფი. თბილისის მაყურებლებმა ნახეს ხელოვნება იმ ხალხისა, რომელსაც საკუთარი ხელოვნების კერები წარსულში არ გააჩნდა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ამ ხალხმა შექმნა შესანიშნავი ხელოვნება, რომლის ნიმუშებმა გულწრფელად გაახარა სამხრეთ-ოსეთის ხალხთან მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული ტრადიციებით დაკავშირებული ქართველი ხალხი.

ის, რაც ჩვენ ამ დღეებში სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების მუშაკებმა გვაჩვენეს, უეჭველად მრავლისმეტყველია. ამ ხელოვნების ცენტრშია მოქცეული თავისუფლების მოყვარე ხალხის ყველაზე მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი თვისებები—ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება, მისი საქმისათვის გმირული ბრძოლა, თავისუფალი სასიხარულო სოციალისტური შრომის სიყვარული და მისი პატივისცემა. ხელოვნების მუშაკთა მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, აღსავსენი ცხოველმყოფელობითა და დამაჯერებლობით, ამოღებული არიან უშუალოდ ხალხის წიაღიდან. სამხრეთ - ოსეთის დრამა, მუსიკა, ცეკვა აღმოცენებულია და დავაჟკაცებულია ხალხური შემოქმედების უმდიდრეს ნიადაგზე. ყველაფერი ეს მჭევრმეტყველურად ღაღადებს, რომ საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის ხელოვნება არის ჭეშმარიტად ხალხური ხელოვნება. ამაშია მისი მთავარი ღირსება და მისი შემდგომი ზრდის საწინდარი.

სამხრეთ - ოსეთის თეატრმა მხურვალე სიმპატია დაიმსახურა თბილისის მაყურებლებში. ყველა სპექტაკლი დიდი მხატვრული წარმატებით ჩატარდა. მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა თეატრის კოლექტივი, რომელმაც გვიჩვენა თეატრალური ხელოვნების წარმატებანი. ამ თეატრში მუშაობენ თეატრალურ ხელოვნებასა და სცენიურ წარმოსახვას დაუფლებული ოსტატები, რომელთაც აქვთ დიდი მონაცემები კიდევ უფრო მეტი შემოქმედებითი ზრდისათვის. ანსამბლის ფაქიზი გრძნობით, თანახმოვნებით, აქტიორების მიერ ერთმანეთის შემოქმედებითი განაზრის გაგებით, შესრულების ერთიანი სტილით, აქტიორული კულტურის მაღალი დონით, დამუშავებული სახეების ფსიქოლოგიური სიღრმით, თამაშისა და შესრულების სიმართლით, სისადავითა და გულწრფელობით ნამდვილად გაგვახარეს ოსურმა სპექტაკლებმა. მათში თბილისის მაყურებელმა დაინახა თეატრის უდავო მხატვრული ზრდა. საერთო სიმპატია მოიპოვა მსახიობმა ო. აბაევამ, რომელმაც შექმნა დუნიას ნამდვილად დაუვიწყარი სახე ოსეთის დიდი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის პიესაში. ასეთივე სიმპატია მოიპოვეს მსახიობების ნ. ჩაბიევას, ა. გუგკაევას, ი. ძახოვის, მ. შავლოხოვის, ხ. ალიკოვის, ა. მაგკაევის, დ. მამიევის, გ. გუბიევისა და სხვათა მიერ შექმნილმა სცენიურმა სახეებმაც.

თბილისის მაყურებელი გაახარა სამხრეთ - ოსეთის დრამატურგიამაც, რომელიც მტკიცედ დგას აღმავლობის გზაზე და რომელსაც თავისი მხატვრული შთაგონების წყაროდ გაუხდია სამხრეთ-ოსეთის ხალხის ბედნიერი სოციალისტური თანამედროვეობა.

თბილისის მშრომელებმა გაიხარეს სამხრეთ - ოსეთის სახვითი ხელოვნების მიღწევებითაც. ცნობილი და გამოცდილი ოსტატების გვერდით, რომელთაც ამშვენებს დიდი წინაპარი — კოსტა ხეთაგუროვი, ჩვენ ვნახეთ უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებით შთაგონებული, ჰქმნის ჭეშმარიტად საუცხოო ტილოებს, იმუშავებს ახალ ფერებს და ეუფლება ყალმისა და საკვეთის ოსტატობას.

ბოლოს, თბილისის მშრომელები აღტაცებაში მოიყვანა სამხრეთ-ოსეთის ხალხის მელოდიურობით უაღრესად მდიდარმა მუსიკამ და სურათოვანმა ცეკვებმა, რომელთაც იმთავითვე ახასიათებდათ დიდი უშუალობა და ემოციურობა. სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტმა გვიჩვენა შესანიშნავი ტალანტები, რომლებიც უდიდესი სიფაქიზით ეპყრობიან და ინახავენ თავისი ხალხის წიაღში საუკუნეთა განმავლობაში აღმოცენებულ მელოდიებს და პლასტიკური ხელოვნების ნიმუშებს.

ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც წარსულში სამხრეთ-ოსეთში ბოგინობდნენ, ყოველმხრივ ცდილობდნენ მოესპოთ სამხრეთ-ოსეთის ხალხური ხელოვნება, რომელიც მეტყველებდა მისი შემქმნელი ხალხის სულიერსა და კულტურულ ნათესაობაზე ქართველ ხალხთან, მაგრამ სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით მოსპეს და გაანადგურეს ეს ნაძირალები.

დაამთავრეს რა თავისი ხელოვნების ჩვენება, სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების მუშაკები ბრუნდებიან შინ. მათ წინაშე გახსნილია ახალი შემოქმედებითი ჰორიზონტები და მიღწევათა ახალი მწვერვალები, რომლებსაც უეჭველად დაიპყრობენ ისინი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შემდგომი განუხრელი გატარების საფუძველზე.

სამხრეთ - ოსეთის ხალხმა გვიჩვენა თავისი ხელოვნების ბრწყინვალე აწმყო. ვუსურვოთ მას კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი!

სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დიდი წარმატება

სამხრეთ - ოსეთის ხელოვნების ჩვენების მეოთხე დღეს, 4 სექტემბერს შესდგა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. რუსთაველის თეატრის ხალხით გაჭედილი დარბაზი მხურვალე ტაშით შეხვდა შემსრულებლებს.

საღამო დაიწყო ბ. გალაევის კანტატით, რომელიც ანსამბლმა დიდი ოსტატობით შეასრულა. კონცერტის პროგრამაში იყო ხალხური სიმღერები, ცეკვები და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა სიმღერებს სტალინზე (გ. კილაძე), ბერიაზე (ბ. გალაევი), ვოროშილოვზე (ბ. გალაევი), სამშობლოზე (გ. კოკელაძე) და ხალხურ სიმღერებს: „ა-ლო-ლაი", „ხაზბი", „აი-საიანაზაი", „პუხატი ილიკო", „ნარტიხტი სოსო", „ჩერმენ", მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს სოლისტები ნ. ჩაბიევა, გ. პლიევი და დ. მამიევი. საინტერესო იყო ტობა კრიხელის სიმღერები ფანდურზე.

კარგი იყო ბ. ცხოვრებოვის და ბ. კორნაევის დაკვრა გარმონზე.

მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ელოდა სახელგანთქმულ ოსურ ცეკვებს. მოზრდილთა და მოზარდ მოცეკვავეთა გუნდებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი. „სიმდი", „ზილგა-კაფთი", „დარგათ-ცონ კაფთი", „ჯერული", „საკოლმეურნეო ბრიგადის ცეკვა", „შეჯიბრება ცეკვაში" შესრულებულ იქნა დიდი ექსპრესიით. მომხიბვლელი პლასტიკურობა და ამავე დროს დიდი ტემპერამენტი, გაქანება და ზომიერების გრძნობა—აი რა ახასიათებდა საერთოდ მოცეკვავეებს და კერძოდ სოლისტებს—მ. ბიდიევს, ნ. გაბაევას, ჩ. აბაევს, ვ. ჯელიევას, გ. გაბარაევს, ქ. კასაბიევს. კონცერტი დამთავრდა ჯგუფის ფინალური ცეკვით, რომელმაც მთელი დარბაზის აღფრთოვანება გამოიწვია. დამსწრენი დიდხანს უკრავდნენ ტაშს ანსამბლის ნიჭიერ მსახიობებს და მათ ხელმძღვანელს ბ. გალაევს.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, მ. ჯაში, ა. თოფურიძე, ი. თავაძე, გ. სტურუა, ს. ხოშტარია, ა. რაფავა, ვ. გრიგორიანი, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ხუბაევი, ა. მირცხულავა, ბ. გოგუა** და სხვები.

ცეკვისა და ანსამბლის კონცერტით დასრულდა სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების ჩვენება რუსთაველის თეატრში. დღეს მწერალთა კლუბში შესდგება სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურის საღამო.

კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ლენინგრადში

ლენინგრადი, 3 სექტემბერი (საკდესი). ლენინგრადში დაიწყო კომკავშირის საანგარიშო - საარჩევნო კრებები. დიდ ქარხნებსა და ფაბრიკებში კომკავშირული კონფერენციები იმართება.

დღეს გაიხსნა ქარხანა „ელექტრიკის" კომკავშირელთა კრება, რომელზედაც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საკ. ალკკ კომიტეტის მდივანი ამხ. ხრამცოვა. მის მოხსენებაში მრავლად იყო მოყვანილი ისეთი ფაქტები, რომლებიც ცხადჰყოფენ კომკავშირული ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეობას საწარმოს სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კომკავშირის წევრთა ნახევარზე მეტი სტახანოველია. კომკავშირულმა ორგანიზაციამ ქარხნის საწყობების შემოწმების რეიდი მოაწყო. რეიდის მონაწილეებმა აღმოაჩინეს საკმაოდ ბევრი ჩაწოლილი მზა პროდუქცია.

ქარხანაში კარგად არის ორგანიზებული მასობრივ - თავდაცვითი მუშაობა. ახალგაზრდობის ჯგუფი მონაწილეობას იღებდა მოხალისე მოთხილამურეთა რაზმებში, რომლებიც ფინელ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ.

მუშაობენ წრეები ახალწვეულებისა, რომელთა შორის 77 მომავალ მებრძოლს ოთხ-ოთხი თავდაცვითი ნიშანი აქვს.

კამათის დროს კომკავშირელებმა მკვეთრად გააკრიტიკეს კომიტეტი პირველადი ორგანიზაციებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის.

28 სექტემბერს მოწვეულია უკრაინის კომკავშირის XII ყრილობა

კიევი, 1 სექტემბერი (საკდესი). უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, უკრაინის კომკავშირის მორიგი XII ყრილობა დანიშნულია 28 სექტემბრისათვის. დღის წესრიგში დგას უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებანი და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

მუშათა კლუბების გახსნა

რიგა. ამ დღეებში ზეიმით გაიხსნა თამბაქოს ფაბრიკა „მაიკაპარის" მუშათა კლუბი. კლუბი მოთავსებულია ფაბრიკის ყოფილი მფლობელის ბინაში. ორი დიდი დარბაზის გარდა, მოწყობილია სამკითხველო და საჭადრაკო ოთახი.

გაიხსნა აგრეთვე ძვლის გადამმუშავებელი ფაბრიკის მუშათა კლუბი.

სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავი ახალი აღმავლობით აღნიშნეს

ტრესტ „საქნავთის" წითელწყაროს ბურღვის კანტორამ ახალი საწარმოო აღმავლობით აღნიშნა სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავი.

მირზაანის ნავთის სარეწაოს მუშაკებმა აგვისტოს საძიებელი ბურღვის გეგმა 123,2 პროცენტით, ხოლო საექსპლოატაციო ბურღვისა 123,1 პროცენტით შეასრულეს.

პატარა-შირაქის ნავთის სარეწაოს მუშაკთა კოლექტივმა, რომელმაც ივლისში გადაჭარბებით შეასრულა საძიებელი და საექსპლოატაციო ბურღვის წლიური გეგმა, აგვისტოში კვლავ ახალ წარმატებებს მიაღწია: საძიებელი ბურღვის გეგმა 239 პროცენტით, ხოლო საექსპლოატაციო ბურღვის გეგმა 257,1 პროცენტით შეასრულა.

პატარა-შირაქის სარეწაოებში აგვისტოში ნაცვლად ორი ჭაბურღილისა ვადაზე ადრე დაამთავრეს და ექსპლოატაციაში გადასცეს სამი ჭაბურღილი.

სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების, საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ხელოვნების საქმეთა განყოფილების უფროსი ამხ. **დ. მამიევი** და სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი **ამხ. ბ. გალაევი.**

წითელ არმიაში მორიგი გაწვევის შესახებ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

1940 წლის 8 სექტემბერი № 293 ქ. მოსკოვი

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. გაწვეულ იქნან ნამდვილი სამხედრო სამსახურის მოსახდელად წითელ არმიაში, სამხედრო - საზღვაო ფლოტში, სსრ კავშირის შინსახკომის საზღვრისპირა და შიდა ჯარებში 1940 წლის 15 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე:

ა) 1920 წელს დაბადებული მოქალაქენი;

ბ) 1921 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტომდე დაბადებული მოქალაქენი;

გ) საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, რომელნიც დაიბადნენ 1921 და 1922 წლებში;

დ) უფროსი ასაკების მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის ვადა წინათ გადადებული ჰქონდათ.

2. 1910 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომელთაც გაწვევის ვადა წინათ გადადებული ჰქონდათ, განთავისუფლდნენ გაწვევისაგან და გადაირიცხონ მე-2 კატეგორიის თადარიგში.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ტიმოშენკო.

წითელი არმიისა და შინსახკომის ჯარების რიგებიდან იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც ნამდვილი სამხედრო სამსახურის დაწესებული ვადა მოიხადეს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

1940 წლის 8 სექტემბერი № 292 ქ. მოსკოვი

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დათხოვნილ იქნან წითელი არმიის, სსრ კავშირის შინსახკომის საზღვრისპირა და შიდა ჯარების რიგებიდან 1-ლი კატეგორიის თადარიგში რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რომელმაც ნამდვილი სამხედრო სამსახურის დაწესებული ვადა მოიხადა.

2. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულსა, ესკადრონსა, ბატარიასა, გუნდსა, რაზმსა და დივიზიონში.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ტიმოშენკო.

შტაბების საველე მეცადინეობის და ტაქტიკური ვარჯიშობის გარჩევა

თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. ს. კ. ტიმოშენკოს გამოსვლა

დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი, 3 სექტემბერი (საკდესი). დღეს დამთავრდა ჯარის დიდ შენაერთის შტაბების საველე მეცადინეობა და დიდი ტაქტიკური ვარჯიშობა, რაც თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. **ტიმოშენკოს** ხელმძღვანელობით ჩატარდა თემაზე: „მსროლელთა კორპუსის მიერ მდინარის გადალახვა და თავდაცვის ზოლის გარღვევა და გარღვევის ადგილას მსხვილი მექანიზებული ძალების შეყვანა".

ვარჯიშობის დამთავრების შემდეგ თავდაცვის სახალხო კომისარმა ვარჯიშობაში მონაწილე მთელ უფშემადგენლობასთან ერთად დაწვრილებით გაარჩია ჩატარებული მეცადინეობა და ვარჯიშობა.

გარჩევას დაესწრნენ წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ამხ. **მერეცკოვი,** დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარის სარდალი, სატანკო ჯარის გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. **პავლოვი,** ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, კორპუსის კომისარი ამხ. **ფომინიხი** და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის სხვა პირები.

სასწავლო წლის პირველი დღეები

2 სექტემბერს ორდენოსანი საქართველოს ყველა სკოლაში დაიწყო მეცადინეობა. საქ. განსახკომში მიღებული ცნობებით, თბილისის, თბილისის რაიონის, მცხეთის, ბორჯომის, ზესტაფონის, ცხაკაიას, აბაშის, დუშეთის და სხვ. რაიონების სკოლებში მეცადინეობის ჩაშლის არცერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი. მასწავლებელთა გამოცხადება სკოლებში საუკეთესოა. პირველ დღეს ყველა მასწავლებელი გამოცხადდა სკოლაში სათანადო გეგმებით და ცხრილით გათვალისწინებული გაკვეთილები ნორმალურად ჩაატარა. განსაკუთრებული ორგანიზებულობით და დისციპლინით ჩატარდა პირველი დღეების მეცადინეობა თბილისის 1-ლ, მე-3, მე-77, მე-18, მე-16, მე-15, მე-17 და სხვ. სკოლებში.

სწავლის დაწყების პირველსავე დღეს საქართველოს სკოლებმა მიიღეს 10.500 ათასი ცალი რვეული, საკლასო ჟურნალები და სკოლისათვის საჭირო სხვა დოკუმენტები.

სკოლებმა მიიღეს აგრეთვე უკვე დაბეჭდილი 31 სახელწოდების სტაბილური სახელმძღვანელო და შესყიდული ნახმარი წიგნები. უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი სახელმძღვანელოების გამოცემა დაუშვებლად ჭიანურდება, რისთვისაც განსახკომმა და სახელგამმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ. „სოიუზბუმსბიტის" საქართველოს კანტორა სათანადოდ არ ზრუნავს სახელმძღვანელოებისათვის ქაღალდის გამონახვაზე. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით განსახკომს უნდა გამოეცა 10 პლაკატი რუსულ ენაში მოსწავლეთა მეტყველების განვითარებისათვის. ამათგან ხუთი პლაკატი უკვე გამოცემულია, მაგრამ დანარჩენი ხუთის გამოსაცემად „სოიუზბუმსბიტის" საქ. კანტორა ქაღალდს არ იძლევა, რაც აფერხებს რუსული ენის ნორმალურად სწავლებას.

სავსებით მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს ჩვენი უმაღლესი სკოლები. თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ს. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, სამედიცინო, სტომატოლოგიურ, სამასწავლებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვ. ინსტიტუტებში პირველსავე დღეს დაიწყო ლექციები.

მიმდინარეობს რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტთა ჩასახლება საერთო საცხოვრებლებში. სტუდენტთა მისაღებად კარგად მოემზადა სტუდენტთა ქალაქი (მმართველი ამხ. ვაშაკიძე). მნიშვნელოვნად გაფართოვდა სტუდენტთა ქალაქის სასადილო. დაიდგა სამი ახალი აგრეგატი, მოწყობილია თეფშებისა და ჭიქების მექანიკური გარეცხვა. სასადილო ამჟამად ოთხი ათას სადილს ამზადებს. საჭიროების დროს შეუძლია დაამზადოს 12 ათასი სადილი.

შეკეთებული და წესრიგში მოყვანილია კლუბი და წითელი კუთხეები.

სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიული და სამედიცინო ინსტიტუტები უკვე ამთავრებენ სტუდენტთა ჩასახლებას საერთო საცხოვრებლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი უმაღლესი სკოლა აჭიანურებს სტუდენტთა ქალაქის ინვენტარის მოსამარაგებლად საჭირო თანხების გადარიცხვას, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

საქართველოს სახალხო განათლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ სწავლის დაწყების პირველ დღეებში შემჩნეული ნაკლოვანებანი და ყოველგვარი პირობები შექმნან იმისათვის, რომ მეცადინეობა სავსებით ნორმალურად და ნაყოფიერად მიმდინარეობდეს.

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ე. ფედოროვი თბილისში

ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ე. ფედოროვი.

ამხ. ე. ფედოროვი ჩამოსული იყო თბილისში, რათა გასცნობოდა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის საქართველოს სამმართველოსა და მის დაწესებულებათა მუშაობას.

გუშინ, 4 სექტემბერს, ამხ. ე. ფედოროვი გაემგზავრა ერევანს, იქიდან დაბრუნების შემდეგ იგი მონაწილეობას მიიღებს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის საქართველოს სამმართველოს მუშაკთა აქტივის კრებაში.

ამხ. ფედოროვის აზრით ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის საქართველოს სამმართველო ერთერთი მოწინავეთაგანია მთელ საბჭოთა კავშირში. სამმართველო დიდ სამსახურს უწევს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსალოდნელი ამინდის შესახებ ცნობების მიწოდებით. სამმართველოს გამოცდილი მუშაკები ჰყავს, მათ შორის არიან მაღალი კვალიფიკაციის ახალგაზრდა სპეციალისტები.

ამხ. ფედოროვმა ინახულა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია, რომელიც უძველესია მთელ საბჭოთა კავშირში. აქ ახალგაზრდობისას მუშაობდა დიდი **სტალინი.** 1944 წელს ამ ობსერვატორიას 100 წელი უსრულდება. იუბილეს აღსანიშნავად უკვე დაწყებულია სამზადისი. ობსერვატორიისათვის ქალაქგარეთ აშენდება ახალი, კარგად მოწყობილი შენობა.

ამხ. ფედოროვი იყო აგრეთვე ყაზბეგში. აქ, ზღვის დონიდან 4.000 მეტრის სიმაღლეზე უკვე შენდება სამთო ობსერვატორია, რომელიც ყველაზე მაღალი იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. ობსერვატორიის მშენებლობა დამთავრდება მომავალ წელს.

საწარმოო გეგმების შესრულება

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა აგვისტოს გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

ჭიათურა, 4 სექტემბერი (საქდესი). გაშალა რა ბრძოლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების ცხოვრებაში გასატარებლად, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების აგვისტოს გეგმა ტრესტმა გადაჭარბებით შეასრულა.

ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო, მარგანეცის ამოღების აგვისტოს გეგმა 111,5 პროცენტით შეასრულა, მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა კი — 112 პროცენტით.

აგვისტოს დავალება გადამეტებით შეასრულეს აგრეთვე ბერიას და დიმიტროვის სახელობის მაღაროებმა.

ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზამ გადამეტებით შეასრულა დატვირთვის 8 თვის გეგმა

ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზამ გადამეტებით შეასრულა დატვირთვის 8 თვის გეგმა. 1 სექტემბრისათვის გეგმის გადამეტებით დაიტვირთა სხვადასხვა სახის ტვირთით 15.486 ვაგონი.

რკინიგზის კოლექტივი სტახანოვურ მოძრაობის 5 წლისთავს ახალი წარმატებებით შეხვდა. დატვირთვის აგვისტოს გეგმა მან 110,2 პროცენტით შეასრულა. აგვისტოში შესამჩნევად გაუმჯობესდა მნიშვნელოვანი ტვირთების გადაზიდვა. რკინიგზამ კარგად შეასრულა პურეულის, ბამბის, ხე-ტყისა და სხვა სამშენებლო მასალის გადაზიდვა. გადამეტებით შესრულდა ნავთის პროდუქტების გადაზიდვის გეგმაც. მაგრამ დავალება ქვანახშირის, ცემენტისა და ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი ტვირთის გადაზიდვის დარგში შესრულებული არ არის; ეს იმით აიხსნება, რომ კლიენტურა არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

განაგრძო რა სოციალისტური შეჯიბრება სტალინის სახელობის რკინიგზის კოლექტივთან, ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე — 25 დეკემბრამდე შეასრულოს დატვირთვის წლიური გეგმა და უზრუნველჰყოს წლის მეორე ნახევარში საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გადიდება 20 პროცენტით, შედარებით წლის პირველი ნახევრის ფაქტიურ დატვირთვასთან. (საქდესი).

საქართველოს ელექტროსადგურებმა გადამეტებით შეასრულეს 8 თვის პროგრამა

მესამე საქსელო რაიონის კოლექტივი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშით

„საქენერგომ" ვადამდე და გადამეტებით შეასრულა 8 თვის პროგრამა.

უკლებლივ ყველა სადგურმა, რომლებსაც „საქენერგო" აერთიანებს, გადამეტებით შეასრულა გეგმა. სტალინის სახელობის რიონჰესმა გეგმა 103,4 პროცენტით შეასრულა, ლენინის სახელობის ზაჰესმა — 102,6 პროცენტით, ბერიას სახელობის ტყვარჩელის ცენტრალურმა სახელმწიფო რაიონულმა სადგურმა — 100,3 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შემმოწმებელი ჟიურის გადაწყვეტილებით „საქენერგოს" მესამე საქსელო (ქუთაისის) რაიონს სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატის და ელექტროსადგურების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა მუშაობის სტახანოვური მეთოდებისა და მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის. (საქდესი).

5 სექტემბერს, საღამოს სრულ 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 33/35) პარტაქტივისათვის შესდგება ლექცია რუსულ ენაზე.

თემა: **„ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები".**

ლექციას წაიკითხავს ამხ. **ბ. ლიუდვიგოვი.**

შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

სავაჭრო ხელშეკრულება სსრ კავშირსა და უნგრეთს შორის

1940 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში სსრ კავშირსა და უნგრეთს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ და შეთანხმება საქონელბრუნვისა და ანგარიშსწორების შესახებ.

საქონელბრუნვისა და ანგარიშსწორების შესახებ დადებული შეთანხმება ითვალისწინებს საქონელბრუნვის განვითარებას სსრ კავშირსა და უნგრეთს შორის. შეთანხმების მოქმედების პირველი წლისათვის საქონელბრუნვა დასახულია 3,7 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობით თვითეული მხრიდან.

სსრ კავშირს განზრახვა აქვს უნგრეთიდან შემოიტანოს: ვაგონის წყვილთვლები, ვაგონის ღერძები, ნავთის მილები, გემები, ელექტრომოტორები და სხვა მოწყობილობა. სსრ კავშირი უნგრეთს მიაწვდის ხერხილ მასალას, ბამბას, მარგანეცისა და ქრომის მადანს და სხვა საქონელს.

ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ, აგრეთვე შეთანხმება საქონელბრუნვისა და ანგარიშსწორების შესახებ ძალაში შევა 1940 წლის 15 სექტემბრიდან.

საბჭოთა კავშირის მხრივ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. **ა. ი. მიქოიანმა**, უნგრეთის მხრივ—უნგრეთის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-მა **ა. ნიკლმა**. (საკდესი).

შეთანხმების დადება ინგლისსა და ამერიკას შორის

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გუშინ ვაშინგტონში ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს, ინგლისისათვის ამერიკის 50 საესკადრო ნაღმოსნის დაუყოვნებლივ გადაცემას. ინგლისი 99 წლის ვადით აძლევს შეერთებულ შტატებს იჯარით ზოგიერთ სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზას ინგლისის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების მისასვლელებთან.

რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გადაცემულ საესკადრო ნაღმოსნებს ინგლისის ეკიპაჟები ატლანტის ოკეანით წაიყვანენ.

რუზველტის მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 3 სექტემბერი (საკდესი). რუზველტმა კონგრესს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიაც აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიპოვა ნიუფაუნდლენდის, ბერმუდის, ბაგამის კუნძულებზე, იამაიკასა, სანტა ლუჩიასა, ტრინიდადსა, ანტიგუასა და ბრიტანეთის გვიანაში სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზების იჯარის უფლება. მიმართვაში ნათქვამია, რომ ინგლისმა თავისი სურვილით შესთავაზა ამერიკის შეერთებულ შტატებს ნიუფაუნდლენდსა და ბერმუდის კუნძულებზე სამხედრო - საზღვაო ბაზების იჯარის უფლება, აგრეთვე უფლება მიანიჭა ამერიკის შეერთებულ შტატებს იჯარით აიღოს სხვა ბაზები ამერიკის 50 საესკადრო ნაღმოსნის სამაგიეროდ. იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურმა პროკურორმა ჯექსონმა თეთრ სახლს აცნობა, რომ ინგლის-ამერიკის შეთანხმება სენატის რატიფიკაციას არ მოითხოვს.

რუზველტმა კონგრესისათვის გაგზავნილ მიმართვაში განაცხადა, რომ დადებული შეთანხმება არ ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიან მდგომარეობას და არ წარმოადგენს საფრთხეს რომელიმე ქვეყნისათვის.

აღნიშნავს რა, რომ შეთანხმება დადებულია „სერიოზული საფრთხის პირობებში", რუზველტი თავის მიმართვაში აცხადებს, რომ ეს შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური თავდაცვის განმტკიცების საქმეში ყველაზე მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენს, როგორიც კი ოდესმე ყოფილა მიღებული ლუიზიანის ყიდვის შემდეგ (1803 წელი).

რუზველტის მიმართვის დასასრულს ნათქვამია: „უშიშროების ამ ფორპოსტების ღირებულება დასავლეთ ნახევარსფეროსათვის მეტისმეტად დიდია. მათს საჭიროებას დიდი ხანია აღიარებდნენ ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით ისინი, ვისაც პირველ რიგში დავალებული აქვს ჩვენი საზღვაო და სამხედრო თავდაცვის შემუშავება და ორგანიზაცია. ეს ფორპოსტები აუცილებელია პანამის არხის, ცენტრალური ამერიკის, სამხრეთ-ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილის, ანტილის კუნძულების, კანადის, მექსიკის და ჩვენი აღმოსავლეთ სანაპიროს დასაცავად. აქედან სავსებით ნათელია ამ ტერიტორიების მნიშვნელობა დასავლეთ ნახევარსფეროს დაცვის საქმეში. და სწორედ ამიტომ ვისარგებლე შექმნილი შესაძლებლობით იმისათვის, რომ შემეძინა ეს ფორპოსტები".

უნგრეთის სავაჭრო დელეგაციის წასვლა

4 სექტემბერს მოსკოვიდან წავიდა უნგრეთის სავაჭრო დელეგაცია სრულუფლებიანი მინისტრის ბ-ნ ალფრედ ნიკლის მეთაურობით.

ცენტრალურ აეროპორტზე უნგრეთის სავაჭრო დელეგაცია გააცილეს: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ა. დ. კრუტიკოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ნ. ბარკოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური ევროპის განყოფილების გამგემ ამხ. ა. მ. ალექსანდროვმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსმა ამხ. დ. დ. მიშუსტინმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო ნაწილის უფროსმა ამხ. ს. ა. ვშივკოვმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის თანამშრომელმა ამხ. პ. ა. ბატანოგოვმა და აგრეთვე უნგრეთის მისიის შემადგენლობამ დესპანის ბ-ნ კრიშტოფის მეთაურობით.

იდენის განცხადება

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო მინისტრმა განაცხადა: „ჩვენს ირგვლივ გახურებული ბრძოლაა. მიმდინარე წლის აგვისტო მრავალი თვალსაზრისით იყო ჩვენთვის ბრძოლის საუკეთესო თვე. მაგრამ დიდ გაუფრთხილებლობას გამოვიჩენდით, თუ ვიფიქრებდით, რომ მხოლოდ შემოდგომის მოახლოვების მეოხებით მტრის შემოჭრის საფრთხე უკვე გაქრა. პირიქით, არ არსებობს იმის არცერთი ნიშანი, რომ ჰიტლერს ხელი აელოს თავის განზრახვაზე — შემოიჭრას და ამ გზით სცადოს ინგლისის დაპყრობა. არსებობს ისეთი ხასიათის მრავალი ნიშანი, რომლებიც გვაძულებენ განსაკუთრებით ფხიზლად ვიყოთ რამდენიმე მომავალი კვირის მანძილზე. ჩვენი ლოზუნგია ველოდოთ და ვამზადოთ არა მარტო ჯარი, რომელიც თავდაცვის ხაზზე პასიურად დგას, არამედ არმიაც, რომელიც ბრძანებას ელის, რათა ეკვეთოს მტერს, თუ იგი კარზე მოგვადგება".

ამერიკის საესკადრო ნაღმოსნები ინგლისს წავიდნენ

რომი, 4 სექტემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო აქვეყნებს ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობას, რომ იმ 50 საესკადრო ნაღმოსანთაგან, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისს აძლევენ, 18 საესკადრო ნაღმოსანი უკვე გავიდა ზღვაში გამოურკვეველი მიმართულებით.

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის სახარატო საამქროს მოწინავე კომკავშირელი სტახანოველები (მარჯვნიდან მარცხნივ): პ. ტრიშვინა, ტ. სახაროვა, ს. ჩახატუროვა, გ. გლუბარიოვა.

საქდესის ფოტოქრონიკა

ვამოწმებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის და 10 ივლისის ბრძანებულებების შესრულებას

როცა ყოველდღიურად არ სწარმოებს ხელმძღვანელობა და კონტროლი...

ორ თვეზე მეტია მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება, რომელიც მოქმედებს დიადი სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

როგორ ხორციელდება აღნიშნული ბრძანებულება თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოში?

შრომის დეზორგანიზატორები და მათი მფარველები

— სამუშაო დღის გამცდენს პასუხისგებაში აძლევენ, პარტიის რიგებიდან რიცხავენ. მაშ ჩემი ხვედრი, როგორც გამცდენი კომუნისტის, რა იქნება? ეკითხებოდა თავის თავს ვატმანი შუკაკიძე.

არა, რაიმე უნდა ვიღონო, უნდა ავიცდინო დამსახურებული სასჯელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი საქმე ცუდად იქნება. და აი მართლაც შუკაკიძემ იპოვნა „დაძრომის" საშუალება. 7 ივლისს (გაცდენის დღეს) დღის 2 საათზე სრულიად დამშვიდებულად შეაღო თბილისის ტრამვაის მოძრაობისა და მოძრავი შემადგენლობის პარტბიუროს მდივნის კაბინეტის კარები. — ამხ. გრიშა!, — მიმართავს პარტბიუროს მდივანს ამხ. რაზმაძეს,—არ ვიცოდი თუ დღეს პარტიული კრება იყო. კრებას რომ დავესწრო, მიმიწერე მოძრაობის უფროსთან — დღეის მაგივრად დასვენების დღეს მამუშაონ!..

ამხ. რაზმაძემ ბევრი აღარ დააყოვნა და შუკაკიძის მუშაობის განრიგს წააწერა რეზოლუცია: „დღეს გაათავისუფლეთ, სამაგიეროდ იმუშაოს დასვენების დღეს". მოულოდნელმა რეზოლუციამ შუკაკიძის სახეს სიხარულის ელფერი მოჰფინა. იგი დარწმუნდა, რომ საქმე ამით დამთავრდა. 7 ივლისს სამუშაოზე გამოუცხადებლობას გაცდენად არ ჩაუთვლიან, მაშასადამე, არც პარტიულ სასჯელს დაადებენ.

მართლაც,- ამხ. რაზმაძის განკარგულებამ ყველა ინსტანცია გაიარა და საბუთი საქმეში ჩააკერეს. ცხადია, აქ დანაშაულებრივ ქმედობასთან გვაქვს საქმე. გამცდენ შუკაკიძეს თავიანთი დანაშაულით გვერდში ამოუდგნენ პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. რაზმაძე, მოძრაობის უფროსის მოადგილე ამხ. ნ. ღარიბაშვილი და კანტორის გამგე გამცემლიძე, თუმცა თვითეული მათგანის დანაშაული სხვადასხვა სახისაა.

უკვე ერთი თვე გავიდა. არც გამცდენ შუკაკიძის და არც მის მფარველთა შესახებ არავინ ლაპარაკობს. როგორც სჩანს, დანაშაულმა უშედეგოდ „ჩაიარა". მაგრამ განა შეიძლება ჩვენს ქვეყანაში ბოროტმოქმედების დამალვა? განა ვინმე შეიძლება გაექცეს საბჭოთა მართლმსაჯულებას? რა თქმა უნდა, არა. ასეც მოხდა. ერთი თვის შემდეგ სტალინის სახელობის პარტრაიკომმა შეიტყო ყოველივე ეს. საქმის „შესწავლის" შემდეგ რაიკომმა ამხ. რაზმაძეს მხოლოდ საყვედური გამოუცხადა. რაზმაძემ გამცემლიძისა და შუკაკიძის საკითხი დააყენა პარტიულ კრებაზე. აქ მათ მიმართ საყვედურის გამოცხადებით დაკმაყოფილდნენ. ამრიგად, ტრამვაის სამმართველოში ლიბერალობა გამოიჩინეს გამცდენისადმი.

მეორე ფაქტი. ა. კიკნაძე. (თბილისის ტრამვაის მოძრაობისა და მოძრავი შემადგენლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი) პირველ სექტემბერს ღამის 1-ლ საათზე ხულიგნობისათვის დააპატიმრა თბილისის მილიციის მე-5 განყოფილებამ, 2 სექტემბერს კიკნაძე მილიციიდან თავდებქვეშ გაათავისუფლეს. იგი სამუშაოზე 4 საათის დაგვიანებით გამოცხადდა. მოძრაობის ადმინისტრაციას წარუდგინა მილიციის მიერ გაცემული ცნობა, რომ ის დაპატიმრებული იყო. ადმინისტრაციამ ეს გასამართლებელ საბუთად მიიჩნია და კიკნაძის დასჯას აღარ ფიქრობდა. მაგრამ შეიტყვეს თუ არა ეს ფაქტი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორებმა, ადმინისტრაციას მიუთითეს, რომ მისი საქციელი სამუშაოს გამცდენისადმი მფარველობას მოასწავებდა. მოძრაობის ადმინისტრაციამ მხოლოდ ამ მითითების შემდეგ აღძრა სასამართლოს წინაშე საკითხი კიკნაძის დანაშაულის შესახებ.

მოყვანილი მაგალითები და ის ფაქტი, რომ 27 ივნისიდან დღემდე თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოში სამუშაო დღის გაცდენის 139 შემთხვევა იყო, ხოლო სამუშაოზე დაგვიანების—207 და სამუშაოდან თვითნებურად წასვლის 13 შემთხვევა, მოწმობენ, რომ აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების რეალიზაცია არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. პარტიულმა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებიდან, კერძოდ კომუნისტები სათავეში ვერ ჩაუდგნენ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვება მძიმე დანაშაულია

არის იმის ბევრი მაგალითი, რომ თბილისის ტრამვაის სახელოსნოებში დაბალია ვაგონების შეკეთების ხარისხი. ამის გამო ხაზზე ვაგონების ნორმალური მოძრაობა ფერხდება და, მაშასადამე, თბილისის მშრომელებს ტრამვაი შესაფერ მომსახურებას ვერ უწევს. ტრამვაის დიდუბის პარკში 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე ხაზიდან მიმდინარე შეკეთებისათვის შესულია 1.133 ვაგონი, რის გამოც გაცდენილია 2.424 საათი. მარტო ეს ფაქტი ცხადჰყოფს იმას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 ივლისის ბრძანებულება ჯერ კიდევ სუსტად სრულდება. უნდა გვახსოვდეს, რომ სადაც ცუდია დისციპლინა, იქ ირღვევა პროგრამა, ადგილი აქვს წუნდებული პროდუქციის გამოშვებას. სწორედ ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი თბილისის ტრამვაის სახელოსნოებში. აქ სწარმოებს ვაგონების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, ხოლო ამავე დროს ამზადებენ ვაგონის ცალკეულ ნაწილებს, რომლებზეც დამოკიდებულია ხაზზე ვაგონების ნორმალური მუშაობა. არის მაგალითები, რომ ვაგონის ნაწილებს დაბალი ხარისხით ამზადებენ მაგალითად, სასხმო საამქრო, რომელიც ამზადებს ვაგონის ისეთ ნაწილებს, როგორიც არის გორგოლებები, ხუნდები და ცილინდრები, ხშირ შემთხვევაში დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებს. თუ აქ წუნი 4 პროცენტი იყო, ამჟამად ის 8 პროცენტამდე ადის, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. ამ საამქროში კომუნისტები უდარდელობას იჩენენ. მათ დღემდე არ ესმით ჩვენი პარტიის საწესდებო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ კომუნისტი უნდა წარმოადგენდეს შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დაცვის ნიმუშს, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას და განუწყვეტლივ ამაღლებდეს თავის საწარმოო საქმიან კვალიფიკაციას.

პარტიის წესდების ეს მუხლი შესისხლხორცებული როდი აქვს სალუზო საამქროს კომუნისტს ვ. სიმონიანცს. ვ. სიმონიანცი, რომელიც სამოტორო ბრიგადის ხელმძღვანელად ითვლებოდა, საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა, აშკარა დანაშაულს სჩადიოდა. როგორც წესი, ის მოვალე იყო სისტემატურად გაეწმინდა მოტორი ბენზინით, გარკვეულ ადგილას მოტორზე დაეყენებინა 3 ხრახნი. მაგრამ ასე როდი აკეთებდა. მოტორს არ სწმენდდა, სამი ხრახნის ნაცვლად უკეთებდა ორს. ამის გამო ვაგონები, რომლებზედაც დაყენებული იყო ასე შეკეთებული მოტორები, სისტემატურად შემოდიოდნენ პარკში სარემონტოდ ჯაგარმჭერებისა და კოჭების გადაწვის გამო. ასევე უპასუხისმგებლოდ მუშაობდა მისი ბრიგადის წევრი ვაშაკიძეც.

პარტიული ორგანიზაცია აღნიშნულ კომუნისტებს ლიბერალურად მოექცა. სიმონიანცს პარტიული სასჯელი არც კი დაადო, ხოლო ვაშაკიძეს მითითება აკმარა ასეთი დაუდევარი მუშაობისათვის.

კიდევ მეტი. მექანიკურ საამქროს მუშა მღარავი კომუნისტი ვ. კოხრეიძე არაერთხელ ყოფილა შენიშნული წუნდებული კბილანების გამოშვებაში. უკანასკნელ დღეებში მან გამოუშვა რამდენიმე უვარგისი კბილანა, რითაც წარმოებას საგრძნობი ზარალი მიაყენა. გარდა ამისა, დასტურდება ის ფაქტიც, რომ კოხრეიძე არაკომუნისტურად ეპყრობა ახალგაზრდა კადრების აღზრდას, ცდილობს ჩაჰკლას მის გვერდში მომუშავე მოწაფის ყოველგვარი ინიციატივა და უნარი.

ამას კოხრეიძე იმიტომ სჩადის, რომ „ხალიჩის გამოცლისა" ეშინია. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მან რამდენიმე ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდა გააძევებინა წარმოებიდან (ლარი, ამფიმიადი და სხვ.).

რაშია საქმე? ვინ მფარველობს კოხრეიძეს? რატომ მისი საკითხი, როგორც ცუდი ხარისხის პროდუქციის გამომშვებისა, დღიმდე არ გამხდარა პარტიული კრების მსჯელობის საგნად?

მოვაწესრიგოთ ვაგონების მოძრაობა

ვაგონების მოძრაობა რომ მოწესრიგებული იყოს და თბილისის ტრამვაიმ თბილისის მშრომელთ შესაფერი მომსახურება გაუწიოს, ძირითადად საჭიროა ორი პირობა: პირველი — ჯანსაღი ვაგონები და მეორეც — ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მოძრაობის ხაზით მუშაობენ. პირველი პირობის შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ, აქ გვინდა შევჩერდეთ მეორე პირობაზე.

ხშირია მაგალითები, რომ ვაგონები განსაზღვრულ საათებში შეჯგუფებული დადიან, ვაგონებს შორის დისტანცია დაცული არ არის და ეს არღვევს მოძრაობის გრაფიკს, მაშასადამე, მგზავრების გადაყვან-გადმოყვანა ფერხდება. რით უნდა აიხსნას ეს? უმთავრესად იმით, რომ მოძრაობის დარგის ზოგიერთი მუშაკი, კერძოდ, სადგურის უფროსი, ვატმანი, მოძრაობის რეგულატორი და კონტროლიორი ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას და სუსტად იბრძვიან შინაგანაწესის მტკიცედ დაცვისათვის.

ცოტა როდია იმის მაგალითები, რომ ვატმანი არღვევს თბილისის საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილებას, წინა ბაქნიდან უშვებს ისეთ მგზავრებს, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ, და ამასთანავე საუბრობს კიდევაც მათთან. სამწუხაროდ, მილიციის ორგანოები სისტემატურად არ ეხმაურებიან ამ ფაქტს.

აუცილებელია თვითეული ტრამვაელი თავისი სამუშაოს დიდ თუ პატარა უბანზე გრძნობდეს ნამდვილ პასუხისმგებლობას. დაუღალავად იბრძოდეს ვაგონების მოძრაობის გრაფიკის მტკიცედ დაცვისათვის, მშრომელთა საუკეთესო და კულტურული მომსახურებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ტრამვაისა და ტროლეიბუსების წესიერ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული თბილისის საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის დისციპლინის დაცვა.

ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვთქვათ, თითქოს თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა გატარებისათვის არაფერი კეთდება. ეს სწორი არ იქნებოდა. აქ ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი, გაუქმებულ იქნა 3-ცვლიანი მუშაობა, შემცირდა შტატები, რაც თვიურად იძლევა ხელფასის ფონდის 111.190 მანეთის ეკონომიას. მიმდინარეობს უფრო ენერგიული ბრძოლა წამგლეჯობისა და ქურდობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არ კმარა. ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველო გაცილებით უკეთ უნდა მუშაობდეს.

საჭიროა თბილისის საბჭოს კომუნალურმა განყოფილებამ უფრო ოპერატიული, კონკრეტული დახმარება გაუწიოს ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს, კერძოდ, ორგანიზებულად მიაწოდოს ის მასალები, რომლებიც განკუთვნილია მისთვის. ამასთან ერთად აუცილებელია აქ სერიოზულად დაისვას კადრების აღზრდის საკითხი. საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატმა დროზე უნდა მოაგვაროს ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოსთან საქარხნო-საფაბრიკო სკოლის გახსნა.

პარტიული კონტროლი უნდა გაძლიერდეს

ზემოთ მოყვანილი ფაქტები თვალნათლივ მოწმობენ, რომ ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს პარტიული ორგანიზაციები სუსტად ახორციელებენ კონტროლს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა რეალიზაციის მიმდინარეობაზე. განა ამას არ ადასტურებს ის გარემოება, რომ აქ პარტიულ კრებაზე მხოლოდ ერთხელ (15 აგვისტოს) იქნა განხილული ეს საკითხი და ისიც ზერელედ. კრებაზე მიღებულ დადგენილებაში კონკრეტულად არ არის ნაჩვენები, თუ რა უნდა გაკეთდეს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. აქ ჯერ კიდევ გაშლილი არ არის ნამდვილი ბრძოლა შრომის დეზორგანიზატორებისა და მათი მფარველების წინააღმდეგ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიული ორგანიზაციები დაეუფლონ საწარმოს ეკონომიკას, საფუძვლიანად შეისწავლონ ტრამვაის მეურნეობის საწარმოო პროცესის თვითეული დეტალი, ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ შრომის ორგანიზაციას და მიაღწიონ ვაგონების შეკეთების ხარისხის გადაჭრით ამაღლებას, ხაზზე უავარიო და სანიმუშო მოძრაობას.

ვ. ალიძე
გრ. ოდიშელი

მწერლის შრომის დისციპლინის შესახებ

ერთი შეხედვით შეუძლებელი გეჩვენება ის, რომ ის ღონისძიებანი, რომლებიც ამჟამად მთელ ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, პირდაპირ და უშუალოდ შეუფარდდეს მწერლის შრომას, იმიტომ რომ, ჯერ-ერთი, მწერლის სამუშაო დღე ნორმირებული არ არის, მეორეც, დაწერილი ფურცლების რაოდენობა ყოველთვის როდი განსაზღვრავს მათს ხარისხს (თუმცა ჩვენ უფლება გვაქვს დაწერილის რაოდენობის მიხედვითაც ვიმსჯელოთ მწერლებზე) და, მესამეც, თვით ხარისხის შეფასება მკითხველის მიერ ძალიან ნელა ხდება, და სრულიად შეუძლებელია ითქვას, რომ უკანასკნელ თვეს ესა და ეს მწერალი კარგად მუშაობდა, ესა და ეს კი ცუდად და რომ ესა და ეს უნდა შევაქოთ, ესა და ეს კი დავტუქსოთ.

ყოველივე ეს სავსებით ნათელია. და მიუხედავად ამისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჩვენ, მწერლებსაც, შეგვეხება და ძალიან ღრმად შეგვეხება.

ჩვენ ხშირად და ბევრს ვლაპარაკობთ ჩვენს „უბედურებაზე". პირდაპირ წლობით ჩავკირკიტებთ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ერთსა და იმავე, ეგრეთწოდებულ „მტკივნეულ საკითხებს" და ვერასგზით ვერ დაგვიმთავრებია მათი გარჩევა.

მწერალთა ჯანსაღ წრეს რომელიც აკეთებს თავის მნიშვნელოვან, პასუხსაგებ საქმეს, საკმაოდ დიდი რაოდენობით მიეტმასნენ ნამდვილი და პირწავარდნილი ცუღლუტები, რომლებიც, არიან რა მწერალთა კავშირის წევრები და სარგებლობენ რა ამასთან დაკავშირებული ყველა სიკეთით, არხეინად ცხოვრობენ, არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ არც სახელმწიფოსათვის და არც საზოგადოებისათვის.

მოიპოვებიან აშკარა და უეჭველი წუნმკეთებლები, რომლებსაც დაუსრულებლივ ელოლიავებიან, თუმცა მათი „პროდუქციის" შესაფასებლად მხოლოდ ხუთი წუთი კმარა. ეს წუნმკეთებლები ცხოვრობენ და მშვენივრად გრძნობენ თავს საბჭოთა მწერლების კავშირის სისტემაში და, ბუნებრივია, არსად არ უნდათ წავიდნენ ამ სისტემიდან.

ბევრი ახალგაზრდა მეტისმეტად ადრე პროფესიონალდება. ერთ-ორ მოუმწიფებელ ნაწარმოებს რომ დასწერს, თავის პროფესიას მიატოვებს (თუ კი გააჩნდა ეს პროფესია) და გასაოცარი აჩქარებით აცხადებს თავს პროფესიონალ მწერლად.

წარსულის რამდენი უდიდესი მწერალი, სანამ პროფესიონალი გახდებოდა, ლიტერატორის შრომას სხვა პროფესიებთან და მოსაქმეობასთან ათავსებდა. გავიხსენოთ ისეთი სახელები, როგორც მოპასანი, გრიბოედოვი, ოსტროვსკი, სერვანტესი, ლოპე დე-ვეგა, სალტიკოვ-შჩედრინი! ბევრი მათგანი, იყო რა ლიტერატორი, ამავე დროს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იწეოდა სხვა მრავალმხრივ მოღვაწეობასაც. და ეს არა თუ ხელს არ უშლიდა მათს შემოქმედებას, არამედ ეხმარებოდა კიდეც.

ეს ორგანიულად აკავშირებდა მათ წრესთან, აძლევდა მათ უდიდეს მასალას დაკვირვებისათვის და უაღრესად ფართო განზოგადებებისათვის. ჩვენს ბევრს ამხანაგს კი ეს არც სურს ახსოვდეს. და გამოდის, რომ ასეთი ნაადრევად პროფესიონალიზებული ადამიანებისაგან გამოდიან ბედოვლათები, „არცნობისაგან" გაბოროტებულნი, შურიანები, რომლებსაც დაურწმუნებიათ თავისი თავი, რომ სახელი და მატერიალური სიკეთე უნდა მოიპოვო არა მძიმე, თავგამოდებული სამწერლო შრომით, არამედ ყალთაბანდობით, ნაცნობობით, ტელეფონის რეკით. თავის წარუმატებლობას ისინი ხსნიან არა საკუთარი შემოქმედებითი უნიათობით, უუნარობით ან არასაკმაო შრომისუნარიანობით, არამედ მკითხველის გულგრილობით, „ინტრიგებით" ან კრიტიკის უყურადღებობით. მათ არ სურთ (შესაძლოა, აღარც შეუძლიათ) ფიზიკურად გაუსწორონ თვალი სიმართლეს, შესწყვიტონ სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრება და ხელი მოჰკიდონ რამე შრომას, რომელიც სასარგებლოა სამშობლოსათვის. მწერალთა კავშირი კი ვერაფრით ვერ დახმარებია ასეთ ამხანაგებს იპოვონ ცხოვრების გზა. ჯანსაღი, მხნე ადამიანისათვის ხომ ათასჯერ უფრო პატიოსანია მუშაობდეს ქარხანაში ან დაწესებულებაში, ვიდრე ლიტფონდში დარბოდეს დახმარების მისაღებად.

საჭიროა გადამჭრელი ზომები კავშირის, პარტორგანიზაციისა და ლიტფონდის მხრივ, რომ, ბოლოს და ბოლოს მოისპოს ზარმაცებისა და წუნკეთებლების, ჯანსაღი და შრომისუნარიანი ადამიანების რიგენა. საჭიროა დაყენებულ იქნას თვითეული ლიტერატორის შეგნებამდე, რომ ლიტფონდი შეიძლება მხოლოდ დამხმარე იყოს მწერლისათვის იმ მომენტებში, როდესაც მას ესაჭიროება მოკლევადიანი დახმარება თავისი სამუშაოს დასამთავრებლად. მაგრამ ლიტფონდი არ შეიძლება იყოს არსებობის ძირითადი წყარო, როგორიც არის იგი ამჟამად არაფრის მაქნის ადამიანთა მთელი ჯგუფისათვის. ეს არ შეეფერება ლიტფონდის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, ეს უსამართლოა ნიჭიერი მწერლების მიმართ და გამრყვნელ გავლენას ახდენს იმ ადამიანებზე, რომლებმაც, როგორც სჩანს, ვერ შეითვისეს ან არ სურთ შეითვისონ რომ ყოველი მწერლის უპირველესი ნიშნებია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულობა და შრომა. გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება, რომ ლიტფონდი თავის ძირითად ყურადღებას მიაქცევდეს გაჭირვებულ მწერლებს (განსაკუთრებით ავადმყოფებს, მოხუცებს და სხვ.), ვიდრე ის, რომ, რაკი მას არ სურს ვისმე „წაეკიდოს", ხელს უწყობდეს ყველას, ვინც კი რიხიანად აცხადებს თავს ლიტერატორად, ხოლო ნამდვილად არ სურს პატიოსნად იმუშაოს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენს, ლიტერატორებს შორის და ლიტერატურასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში დიდხანს გამეფებული იყო უპირობა, უდისციპლინობა, არასისტემური მუშაობა. ზოგიერთი მწერალი არაფრად არ აგდებდა იმას, რომ დაერღვია დადებული ხელშეკრულება, სიტყვა მიეცა და არ შეესრულებინა ის. ეს განსაკუთრებით გამოწვეული იყო მწერლებთან გამომცემლობათა ურთიერთდამოკიდებულების არასწორად აგებული სისტემით. ძალიან ხშირად ანაზღაურებდნენ არარსებულ შრომას, მხოლოდ „მონაფიქრს", მხოლოდ „განაცხადს". ამიტომ გამომცემლობათა გეგმები თავის ბევრ განყოფილებაში ნამდვილ ფიქციას წარმოადგენდა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ამასწინათ მიღებული დადგენილება სახელმწიფო სალიტერატურო გამომცემლობის შესახებ გვაძლევს ყველა შესაძლებლობას გამომცემლობათა და ავტორთა ნამდვილი შრომითი ურთიერთობის დამყარებისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ამ გადაწყვეტილების ზუსტად განხორციელება დისციპლინას შეჰქმნის მწერალთა შრომაში და მიუახლოვებს მწერლის ნაწარმოებს მილიონობით ახალ მკითხველთ.

საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას კიდევ ერთ მოვლენაზე გამოცდილ, უნარიან ნიჭიერ მწერალთა ერთი (მართალია, მცირე) ნაწილის შემოქმედებითი მოდუნებაზე. ისინი ცოტას და როგორღაც ზანტად სწერენ. ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ იმას, რომ შეიქმნას გამომუშავების რამე ნორმები მწერლებისათვის. სავსებით ცხადია, რომ თანაბარი ენერგიის დახარჯვისას ერთი მწერალს შეუძლია გაცილებით მეტი დასწეროს, ვიდრე მეორეს, ვინაიდან მწერლის ნაყოფიერება მისი ნიჭის ერთერთი ორგანიული თვისებაა. საქმე სხვა რამეს ეხება. სახელდობრ, მოდუნებულობას. ანდა ავიღოთ ისეთი საკითხი, როგორიც არის ზოგიერთი მწერლის დამოკიდებულება პუბლიცისტიკისადმი.

მწერალს სტატიას შეუკვეთენ.

— საქმე ის არის, — უპასუხებს იგი, — რომ მე საერთოდ არ ვწერ სტატიებს.

მას ჰგონია, რომ სტატიების წერა სათაკილოა მწერლისათვის, რომ პუბლიცისტიკა — ეს კარგი მწერლისათვის რაღაც გარე სამუშაოს მსგავსია. მას ავიწყდება რომ სტატიებს წერდნენ პუშკინიც, ლევ ტოლსტოიც, მაქსიმ გორკიც და ეს არა თუ სათაკილოდ არ მიაჩნდათ, არამედ თავის მოვალეობად სთვლიდნენ სტატიებით გამოხმაურებოდნენ საჭირბოროტო საკითხებს.

საბჭოთა მწერლების უდიდესი უმრავლესობა ბევრს და ნაყოფიერად შრომობს და შეუძლია თავისი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითს წარმოადგენდეს. ჩვენმა ლიტერატორებმა ცოტა კი არ იშრომეს ფრონტებზეც. მათ ღირსეულად შეასრულეს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, თავგანწირულად მუშაობდნენ რაარმიის პრესაში.

მაშ მივბაძოთ იმ ამხანაგებს, რომლებიც სამშობლოს სწირავენ მთელ თავის უნარს, მთელ თავის ნიჭს, მთელ თავის ენერგიას.

ჩვენი სამუშაო დღე, მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე, ყველაზე ნაყოფიერი უნდა იყოს!— ამ ლოზუნგით ცხოვრობს დღეს ჩვენი ქვეყანა.

ჩვენი საბჭოთა მწერალი ისეთ განსაკუთრებით ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიც მსოფლიოში არცერთი მწერალი არ არის. ამიტომ საბჭოთა მწერლის შრომაც ყველაზე ნაყოფიერი უნდა იყოს.

„ლიტერატურნაია გაზეტას"
მოწინავე, 25/VIII

პროკურატურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

3 სექტემბერს ქ. თბილისში ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების პროკურორთა რესპუბლიკური თათბირი ქ. თბილისის რაიპროკურორებთან ერთად.

თათბირზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის, 10 ივლისისა და 10 აგვისტოს ბრძანებულებათა შესრულების მიმდინარეობისა და პროკურორების ამოცანების შესახებ შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. ალ. ჩიქვანაია.

აღმოსავლეთ საქართველოს და კერძოდ ქ. თბილისის რაიონების პროკურატურისა და სახალხო სასამართლოების მუშაობის შემოწმებამ დაგვანახა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის, 10 ივლისისა და 10 აგვისტოს ბრძანებულებანი ჯერ კიდევ მტკიცედ არ ტარდება ცხოვრებაში.

აღმოსავლეთ საქართველოს და თბილისის ზოგიერთი რაიონის პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკიდან ამხ. ჩიქვანაიამ მოიყვანა იმის მაგალითები, თუ როგორ ლიბერალურად ეკიდება ზოგიერთი პროკურორი და მოსამართლე შრომის დისციპლინის დამრღვევთ, წვრილმან ქურდებს, როგორ აჭიანურებენ ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებათა მიმართ აღძრულ საქმეების განხილვას და სხვ.

საქმეთა მოსპობისა და გამამართლებელი განაჩენების გამოტანის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე როგორც თბილისში, აგრეთვე მცხეთის, სიღნაღის, თელავის, წალკის, გურჯაანის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებში.

ადგილი აქვს აგრეთვე ამ კატეგორიის საქმეების სასამართლოში გადაცემის გაჭიანურებას, დარღვეულია კანონით გათვალისწინებული ვადები. ბორჩალოს რაიონის პროკურატურამ (პროკურორი მ. პოპოვი) 9 საქმე სახალხო სასამართლოებს 5 დღიდან თვენახევარზე მეტი ხნის დაგვიანებით გადასცა. ბორჩალოს რაიონის სახალხო სასამართლოებს აღნიშნული საქმეებიდან ზოგიერთი დღესაც არა აქვთ გარჩეული (პირველი უბნის სახალხო სასამართლო და სხვ.).

მთელ რიგ რაიონებში პროკურორებმა ვერ მიაღწიეს სათანადო შედეგს წვრილმანი ქურდობისა და ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. პლოტნიკოვმა (რესპუბლიკის პროკურატურა), ლ. ჩიჩუამ (რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი) და რაიპროკურორებმა აბაკელიამ (ხაშური), ი. კასრაძემ (აბაშალი), წ. დანიელოვმა (წალკა), მ. პოპოვმა, (ბორჩალო), ა. გიგაურმა (თელავი), დ. ბატიაშვილმა (ლაგოდეხი) და ა. სიმონიშვილმა (გურჯაანი).

გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს საქართველოს პროკურატურის და სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებული მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი ბრძანებულებათა შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ამხ. ჩიქვანაიას შემაჯამებელი სიტყვის შემდეგ თათბირი დაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელ კომკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები

ბოლშევიკურად ვამხილოთ ნაკლოვანებები

(სიღნაღი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონ.)

სიღნაღის სტამბა - რედაქციასთან არსებული კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრება დანიშნულ დროზე დაიწყო.

17 კომკავშირელიდან კრებას დაესწრო 16 კაცი, საანგარიშო კრებას დაესწრნენ აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივნები ზ. ჩხუბიანიშვილი, ი. ჩინჩალაძე და საქ. ალკკ სიღნაღის რაიკომის მდივანი ზ. ბოლაშვილი.

კრებაზე მოსმენილ იქნა კომკავშირის კომიტეტის მდივნის ამხ. მ. საკოვის საანგარიშო მოხსენება 1938 წ. 15 ოქტომბრიდან კომკავშირის კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. შ. ზედელაშვილმა, მ. ტუხაშვილმა, გ. მაზიაშვილმა, ა. მღებრიევმა, მ. მამედოვმა, ვ. ბეჟაშვილმა, ან. ბეროშვილმა, ა. მღვდლაშვილმა და ი. ჩინჩალაძემ.

მომხსენებლისა და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ კომიტეტს თავის მუშაობაში სერიოზული მიღწევები აქვს. კარგად იყო დაყენებული კომკავშირული მეურნეობა, კომიტეტი სისტემატურად იხილავდა სამეურნეო მნიშვნელობის საკითხებს, სათანადო სიმაღლეზე იდგა კომკავშირელთა ავანგარდული როლი. გაზ. „კოლმეურნის“ 9 თანამშრომლიდან 7 ლენინური კომკავშირის წევრია. კომკავშირელები ხელმძღვანელობენ ისეთ საპასუხისმგებლო სამუშაოებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობის განყოფილება, მუშსოფლკორთა შორის მუშაობა და სხვ.

მიღწევებთან ერთად კომიტეტს ნაკლოვანებებიც ჰქონდა. მაგ. კომკავშირელებმა არ. მანგიაშვილმა 8 თვის და ი. ნადაშვილმა 6 თვის საწევრო ერთად გადაიხადეს, კომკავშირული კრებები ზოგჯერ მოუმზადებელი ტარდებოდა, ხოლო დღის წესრიგი აქტივთან ერთად არ მუშავდებოდა.

კრებამ კომიტეტის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ახლად არჩეულ კომიტეტს პრაქტიკული ღონისძიებანი დაუსახა. კომიტეტის ახალ შემადგენლობაში არჩეულია 3 კაცი, კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. მ. საკოვი.

○

ამავე დღეს არჩევნები ჩატარდა პარტრაიკომთან არსებულ კომკავშირულ ორგანიზაციაში. კომიტეტის მდივნის არ. ზახაროვის მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების ნაამბობიდან გამოირკვა, რომ აქ კომკავშირული მეურნეობა მოუგვარებელი იყო, კომკავშირელები დროზე არ იხდიდნენ საწევრო გადასახადს. კომკავშირელები ბოლშევიზმის დაუფლებაზე ნაკლებად ზრუნავდნენ, არ იყო განაწილებული კომკავშირული დავალებანი, სუსტი იყო კომკავშირის რაიკომის და პარტიული ორგანიზაციის დახმარებაც. მიუხედავათ ასეთი სერიოზული ნაკლოვანებებისა, კრებამ კომიტეტის მუშაობა რატომღაც დამაკმაყოფილებლად შეაფასა. კომიტეტის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა 3 კაცი.

ი. ბალიაშვილი

კომიტეტის მუშაობა გააკრიტიკეს

ალგულაღი (საქდესი). საქმიანად ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრება სოფ. პოსელენიეს პირველადს საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციაში.

კომიტეტის მდივნის ამხ. ა. რავკინის საანგარიშო მოხსენება მშრალ სტატისტიკურ ციფრებით დაიწყო. მან ჩამოსთვალა, თუ რამდენი კრება და საუბარი ჩაუტარებიათ და სხვ.

საანგარიშო პერიოდში, რაც თითქმის 2 წელს მოიცავს, კომკავშირის ორგანიზაცია მხოლოდ 7 კაცით გაიზარდა. კომიტეტი ნაკლებად ზრუნავდა კომკავშირელთა პოლიტიკური მომზადებისათვის. კომიტეტის მდივანმა არ იცის, თუ როგორ მუშაობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელნი, კომიტეტი არავითარ დახმარებას არ უწევდა მათ.

კომკავშირის ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა კოლმეურნეობის სამეურნეო საკითხების გადაჭრაში. საკოლმეურნეო ფერმაში შემჩნეულ იქნა საქონლის წველადობის შემცირება, არც ნამატის შენარჩუნება იყო სახარბიელო მდგომარეობაში. კომიტეტმა გამოჰყო კომისია. კომისიამ საფუძვლიანად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და სათანადო მოხსენება გაუკეთა კომკავშირის კრებას, რომელსაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ესწრებოდა. თავის დადგენილებაში კრებამ ურჩია კოლმეურნეობის გამგეობას ფერმის ზოგიერთი უსულგულო მუშაკის შეცვლა, პირუტყვის სადგომის უკეთ მოწყობა და მთელ რიგ ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა გატარება. კრების გადაწყვეტილება განხორციელებულ იქნა; საკოლმეურნეო ფერმა ახლა დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას.

— კომიტეტის მდივანმა ამხ. რავკინმა თავის საანგარიშო მოხსენებაში, — ამბობს კამათში გამოსული ამხ. გ. კლევეტოვი, — არაფერი გვითხრა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდა კომიტეტი კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ცნობილია, რომ ამ მხრივ ჩვენთან ყველაფერი რიგზე არ არის. ჩვენ გვყავანან უდისციპლინო კომკავშირელები ი. ბაბიჩი და ნ. პონომარიოვი. ამ ამხანაგებს ყველაზე ნაკლები შრომადღეები აქვთ გამომუშავებული.

კომკავშირელმა ი. პოლეტაევმა სასტიკად გააკრიტიკა კომიტეტის მდივანი რავკინი, იმისათვის, რომ იგი თვით აძლევს კომკავშირელებს ცუდს მაგალითს. ამ ერთი კვირის წინათ რავკინმა თავი მიანება კოლმეურნეობაში მუშაობას და თვითნებურად წავიდა გარე სამუშაოზე.

— სუსტად იყო დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა კომკავშირელებსა და კავშირგარეშე ახალგაზრდებს შორის, — ამბობს კომკავშირელი ა. ბარავინი, — ამით აიხსნება, რომ ორი ახალგაზრდა მათი მიღებიდან მეორე თვეზე გარიცხულ იქნა კომკავშირიდან. ერთმა მათგანმა, ტრაქტორისტმა ლ. დეევმა ამ დღეებში ტრაქტორი მინდორში მიატოვა და თვითნებურად წავიდა სამუშაოდან. დეევი მიცემულია პასუხისგებაში.

კომკავშირელმა ფ. კოზლოვმა თავის სიტყვაში კომიტეტს მიუთითა, რომ იგი არ ზრუნავდა პარტიაში მოწინავე კომკავშირელთა მიღებისათვის.

კრებამ კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. არჩეულ იქნა კომკავშირის კომიტეტის ახალი შემადგენლობა. ორგანიზაციის მდივნად არჩეულია კოლმეურნეობის სტახანოველი კომკავშირელი ა. პარვინა.

საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების ჩვენება

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

სამხრეთ-ოსეთის ხალხურ მუსიკალურ კულტურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ ოსური მუსიკის ისტორიაზე ლაპარაკი ძნელია, რადგან ძველთაგან არავითარი წერილობითი წყაროები არ დაგვრჩენია. ოსური ხალხური სიმღერები გადადიოდა თაობიდან თაობაზე, დროთა განმავლობაში იცვლებოდა და მდიდრდებოდა. მათს შესწავლაზე ძველად არავინ ზრუნავდა, გარდა ცალკეული მოყვარულებისა.

ოსური ხალხური სიმღერები პირველად ჩაწერა კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა 1901 წელს. შემდეგ ჩაწერაზე მუშაობდნენ კომპოზიტორები ვ. დოლიძე და გ. კოკელაძე, ხოლო 1929 წლიდან ოსური ხალხური ვოკალური და ინსტრუმენტალური მუსიკის ჩაწერას აწარმოებს კომპოზიტორი ბ. გალაევი, რომლის მიერ შეგროვილი სიმღერების პირველი ტომი უკვე გამზადებულია დასაბეჭდად.

ხალხური მუსიკალური საგანძურის შეგროვება-შესწავლას და საერთოდ მუსიკალურ განათლებას სამხრეთ-ოსეთში უდიდესი ყურადღება მიექცა მხოლოდ საბჭოთა წესწყობილების დროს, როცა დაარსდა სამხრეთ-ოსეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი და მუსიკალური სასწავლებელი.

სიმღერა და ცეკვა ოსეთში დიდ პატივშია. ყოველი ზეიმი აღინიშნება მრავალფეროვანი სიმღერებითა და ცეკვებით. ხალხური შემოქმედების ოლიმპიადებზე თბილისში არაერთხელ აღნიშნულა სამხრეთ-ოსეთის მომღერალთა და მოცეკვავეთა დიდი წარმატებანი, მაგრამ სიმღერისა და ცეკვის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში დიდი როლი ითამაშა ანსამბლის დაარსებამ. 1938 წლის მაისში, თანახმად ხელმძღვანელ ორგანოთა დადგენილებისა, გაერთიანდა მომღერალთა გუნდი, მოცეკვავეთა ანსამბლი და ხალხურ საკრავთა ორკესტრი. ამ ახალი შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელად დაინიშნა კომპოზიტორი ბ. გალაევი.

ანსამბლის მსახიობები და ხელმძღვანელები დიდი მონდომებით შეუდგნენ შემოქმედებითს მუშაობას. ოსური სიმღერები ორხმიანია. სიმღერას იწყებს ტენორი, ხოლო მეორე ხმა უსიტყვოდ მისდევს მელოდიას. შემდგომ, ქართული მუსიკალური კულტურის გავლენით, თანდათან გავრცელებულა მრავალხმიანი სიმღერები. ანსამბლი ძველ ხალხურ სიმღერებს ასრულებს ორ ხმაზე, მაგრამ მეორე ხმაც მღერის მელოდიას და ტექსტს. გარდა ძველი ხალხური სიმღერებისა, ანსამბლის რეპერტუარშია ახალი, სტალინური ეპოქის შესაფერი სიმღერები, რომლებიც უმღერიან ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ცხოვრებას, მის გენიალურ შემქმნელს დიდ სტალინს, გამობრძმედილ სტალინელებს კ. ვოროშილოვს, ლ. ბერიას, ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილებს, მათ გმირულ საქმეებს.

გარდა ნაციონალური მუსიკისა, ანსამბლის გუნდი წარმატებით ასრულებს მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს, უკრაინის, ბელორუსიისა და რუს კლასიკოს კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

დიდი ყურადღების ღირსია ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფი, რომლის სახელი განთქმულია არა მარტო სამხრეთ-ოსეთში, არამედ მთელს საქართველოში და კიდევ უფრო შორს. ანსამბლის ასისტენტი ცეკვის დარგში მ. ბიდეევი თვითონ საუკეთესო მოცეკვავეა. მან შემოიკრიბა ცეკვის გამოჩენილი ოსტატები—ნ. გაბაევა, ვ. ჯელიევა, ქ. კასამბიევი, გაბარაევი, ა. კულუმბეგოვი, ჩერმენ აბაევი, პ. კაჩლავოვი და სხვ. მოცეკვავეთა პროგრამაშია მრავალი საინტერესო ცეკვა, როგორც მაგალითად, „ზილგა-კავთ“, „დარგათცონ“, „სიმდ“ და სხვა ხალხური ცეკვები. ანსამბლი არ კმაყოფილდება ძველი მემკვიდრეობით. ახალი ცხოვრება ჩვენ თვალწინ ჰქმნის ახალ შესანიშნავ ცეკვებს, რომლებსაც ჩვენი მოცეკვავენი დიდი წარმატებით ასრულებენ. ასეთია „საკოლმეურნეო ბრიგადის ცეკვა“, „პიონერ-მესაზღვრის“, „მწყემსის“ და სხვა ცეკვები.

ანსამბლის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ოსური ხალხური საკრავების ორკესტრი 24 კაცის შემადგენლობით. ორკესტრშია: 6 სახის დალა-ფანდირი, ორი სახის კიშინ-ფანდირი, ახლო ხანში ორკესტრში შევა ქნარი და ფლეიტა. ხალხურ საკრავთა ორკესტრი, რომელიც თანდათან უმჯობესდება და მდიდრდება ახალი საკრავებით, ოსი ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობს.

რევოლუციამდე სამხრეთ-ოსეთს არ ჰყავდა საკუთარი პროფესიული მუსიკოსები. ახლა სტალინირში მუშაობენ კომპოზიტორები ნ. გუდიაშვილი და ბ. გალაევი, ხოლო ლენინგრადში ფრიადზე სწავლობენ ჩვენი მომავალი მუსიკოსები—ზ. გაგლოევი, მ. აბაევი, ი. გაგლოევი. ჩვენი კომპოზიტორების ამოცანაა შექმნან ახალი სიმღერები და მუსიკალური ნაწარმოებები ხალხურ გმირებზე, სოციალისტური შრომისა და ბედნიერი ცხოვრების შესახებ.

გარდა სიმღერებისა, არის უფრო რთულ მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნის ცდები. განსვენებული კომპ. ვ. დოლიძე სწერდა ოპერა „ზამირას“, რომლის დამთავრება ვერ მოასწრო. ბ. გალაევმა დასწერა სიმფონიური მუსიკა სპექტაკლებისათვის „ხაზბი“, „ორი და“, „მწყემსის ბინა“, რომანსები კ. ხეთაგუროვის ტექსტზე, შეადგინა ოსური ცეკვების კრებული როიალისათვის და სხვ. კომპოზიტორმა ნ. გუდიაშვილმა დასწერა სიმფონიური მუსიკა სპექტაკლისათვის „ზინგ“ და სხვ.

თბილისში სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების ჩვენებამ შეაჯამა ჩატარებული მუშაობა და დაგვისახა ახალი გზები შემდგომი წინსვლისათვის, შეგვაიარაღა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე დიდი მიღწევებით აღფრთოვანებული სამხრეთ-ოსეთის ხალხი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით ახლო ხანში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს სოციალისტურ ხელოვნებას.

ბ. გალაევი

სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.

სამხრეთ-ოსეთის მხატვრული ლიტერატურის საღამო

სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების ჩვენებასთან დაკავშირებით, 5 სექტემბერს, საღ. 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში შესდგება სამხრეთ-ოსეთის მხატვრული ლიტერატურის საღამო.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ირ. აბაშიძე.

მწერალი რ. ჩოჩიევი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „სამხრეთ-ოსეთის თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა“. საღამოზე სიტყვებით გამოვლენ ბ. ულინტი, ვ. გორგაძე, ი. კაჩმაზოვი, ა. მაგკაევი.

საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ ოსურ ენაზე პოეტები ნიგა, ი. კაჩმაზოვი, მ. შავლოხოვი.

პოეტები ვ. გორგაძე, ბ. სერებრიაკოვი, გ. კაჭახიძე, გ. ცეცხლაძე, იასამანი და სხვ. ქართულ და რუსულ ენაზე წაიკითხავენ სამხრეთ-ოსეთის პოეტების ლექსების საკუთარ თარგმანს. (საქდესი).

სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი კომპ. ბ. გალაევის ხელმძღვანელობით.
სურათზე: ოსური ხალხური ცეკვა.

„მწყემსის ბინა“

სამხრეთ-ოსეთის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის თეატრის სპექტაკლი

სამხრეთ - ოსეთის ხელოვნების ჩვენების პერიოდში ჩვენ ვნახეთ სამი სპექტაკლი, რომელთაგან განსაკუთრებული ინტერესით ველოდით მ. შავლოხოვის „მწყემსის ბინას“. ჩვენების რეპერტუარში ეს ერთადერთი პიესაა თანამედროვე თემაზე. პიესა მიზნად ისახავს გვიჩვენოს სამხრეთ-ოსეთის ბრძოლა სოციალისტური მეცხოველეობის აღმავლობისათვის, გვიჩვენოს კოლექტიური შრომის სიმძლავრე, ხალხის ერთგულება საბჭოთა წყობილებისადმი, ჩვენი გამარჯვებათა ორგანიზატორის დიდი სტალინისადმი.

მოქმედება სწარმოებს მთაში. კოლმეურნეობა დიდი ზეიმით ხვდება თავის სახელოვან მწყემსებს ტულანის მეთაურობით, რომლებმაც თავი ისახელეს, როგორც სოციალისტური მეცხოველეობის მოწინავეებმა. შეხვედრაზე ტულანს ახარეს, რომ იგი მოსკოვს იგზავნება მეცხოველეობის მოწინავეთა საკავშირო შეკრებაზე. ვინ უპატრონებს ცხვრის ფარას ტულანის ჩამოსვლამდე? არჩევანი შეჩერდა მოხუც აგორზე, რომელიც ცხვარს კარგად იცნობს და რომლის შვილი გაბა, კურსდამთავრებული ზოოტექნიკოსი, კოლმეურნეობაში დაბრუნდა სამუშაოდ.

ტულანის გამგზავრების შემდეგ საძოვრებზე საქმე ცუდად წავიდა. ცხვრებს რაღაც ეპიდემია მოედო. ზოოტექნიკოსი გაბა მავნებელი ყოფილა. მასთან „გეოლოგის“ ნიღაბით ჩამოვიდა ვინმე მირზა, რომელიც მავნებლობას ხელმძღვანელობს. გაბამ მამა აგორიც ჩაითრია. მწყემსები გამწარდნენ. განახევრდა ფარა. მავნებლებმა გადასწყვიტეს, ვითომდა ეპიდემიის შესაჩერებლად დახოცონ ცხვრები და მიწაში ჩამარხონ. მწყემსები არ დასთანხმდნენ. მათ ეჭვი შეეპარათ, მოითხოვეს ბეითლის მოწვევა. ამ დროს დაბრუნდა ტულანი, მოვიდნენ რაიკომის მდივანი და შინსახკომის წარმომადგენელი. მავნებლები დააპატიმრეს, ცხვრის მოწამლვა შესწყდა.

პიესას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. უარყოფითსა და დადებითს გმირებს შორის მაყურებლისათვის ადვილად დასანახი ზღვარი დევს. მავნებელი გაბა სცენაზე გამოჩენისთანავე ანტიპატიურად გვაცნობს თავს. მისი პირველი ნაბიჯი ასეთია: მას ჰყავდა საცოლე სანიათ. გაბა საცოლეს ეუბნება — შენ უსწავლელი ხარ, მე კი ნასწავლი, აღარ შემეფერებიო. და გასწყვეტს დამოკიდებულებას ქალიშვილთან. გაბას არაფერი ადამიანური არ ახასიათებს: არც სიყვარული, არც მამის პატივისცემა. მას აქვს მტკიცე მიზანი — გასწყვიტოს ცხვრის ფარა. სავსებით გაუმართლებელია, როცა დაპატიმრების შემდეგ გაბა ამაყად გადის და მამასაც კი ჰკიცხავს პატიების თხოვნისათვის. სიუჟეტის ასე პირდაპირი ხაზით გაშლა, ხასიათების ასე ცალმხრივად გახსნა, რასაკვირველია, ნაკლია. მეორე მხრივ, კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დადებითი გმირები — სადულა, რუთენ, აგუნდა, ტულანი და სხვა მწყემსები გაცილებით უფრო სრულქმნილად არიან მოცემული. სადულა, რუთენ, აგუნდა — ეს ცოცხალი ადამიანებია, საერთო სახალხო ინტერესით ანთებულნი, უხვად დაჯილდოებულნი სიყვარულისა და სიძულვილის, მხიარულებისა და სევდის გრძნობებით. მწყემსთა ცხოვრების ასე უშუალო, დამაჯერებელ გადმოცემაშია პიესის წარმატება.

„მწყემსის ბინა“. სურათზე: (ზევიდან ქვევით) — მსახიობები ი. ძახოვი ტულანის როლში, ხ. ალიკოვი გაბას როლში და ზ. ტუაევი აგორის როლში.

არსებული დრამატურგიული მასალით რეჟისორმა ა. მაგკაევმა, მხატვრებმა მ. ტუგანოვმა და ა. ხასიევმა, კომპოზიტორმა ბ. გალაევმა მშვენიერი სპექტაკლი შექმნეს. კარგად არის მოფიქრებული და შესრულებული მასობრივი სცენები. პირობითია მეორე სურათის დასაწყისი, როცა მწყემსები სათითაოდ შემოდიან და ლექსებს კითხულობენ. ეს ადგილი ამოვარდნილია სპექტაკლის საერთო რეალისტური პლანიდან.

ყველაზე თვალსაჩინო ამ სპექტაკლში მსახიობთა მიერ როლების შესრულება იყო. ენის უცოდინარობა ხელს არ გვიშლიდა გვეგრძნო მსახიობთა თამაშის ყოველი ნიუანსი. ეს აიხსნება იმ გულწრფელობით, უშუალობით, დამაჯერებლობით, რაც უსათუოდ ახასიათებს ოსური თეატრის მსახიობებს. ა. მაგკაევის სადულა, ნ. ჩაბიევას აგუნდა, ბ. ანდიევის რუთენ, ვ. მამიევას სანიათ, ძ. ძახოვის ტულან, დ. მამიევის ჯიორ, ნ. კოროევის ზაურ, ხ. ალიკოვის გაბა, დ. პარასტაევის მირზა, ზ. ტუაევის აგორ, ა. ხასიევის ანდრი და მწყემსებისა და მწველავ ქალთა სახეები ღრმად იბეჭდება მეხსიერებაში. მსახიობები ახერხებენ ერთის მხრით ოსი ხალხის ნიშანდობლივ თვისებათა სწორად გადმოცემას — მსუბუქი მოძრაობა, სწრაფად გაწყრომა და უმალვე დამშვიდება, — და მეორე მხრივ ისეთ განცდათა გადმოცემას მთელის გულით, უდიდესი სიმძაფრით, როგორიცაა მხიარულება და სიხარული, მრისხანება და სიძულვილი. და ყველაფერი ეს ხდება დამაჯერებლად. რასაკვირველია, არის ძალდატანების მომენტებიც. თუ გინდ სცენა, როცა გაბა ლამაზ სანიათს უარყოფს. მაგრამ ამ სცენაში თვით მსახიობიც გრძნობს უხერხულობას და ამაში ბრალი დრამატურგს მიუძღვის.

„მწყემსის ბინით“ დამთავრდა კოსტა ხეთაგუროვის სახელობის თეატრის დადგმათა ჩვენება. სამი სპექტაკლი გვიჩვენა თეატრმა — „ზინგ“, „დუნია“ და „მწყემსის ბინა“. სამივე სპექტაკლმა მაღალი შეფასება მიიღო. ამ სპექტაკლებით კოსტა ხეთაგუროვის სახელობის თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა დაამტკიცა, რომ მოკლე დროში იგი გაიზარდა, გადაიქცა მძლავრ თეატრად, რომელიც თამამად შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენი მოწინავე თეატრების რიგში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ამხ. ვ. მურღულიას დამსახურება. სცენისმოყვარეებიდან, რომელთა განსაზღვრულ ნაწილს რიგიანი სპექტაკლიც კი არ ენახათ, მან გამოწრთვნა ისეთი მსახიობები, რომელთა თამაშმა სავსებით დამსახურებული საერთო წარმატება მოუპოვა თეატრს. სამხრეთ-ოსეთის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ თავისი თეატრით.

გრ. ნუცუბიძე

ახალი თეატრალური სეზონის წინ

ქუთაისი, 4 სექტემბერი (საქდესი). 7 სექტემბერს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრი სეზონს იწყებს ორდენოსანი დრამატურგის შ. დადიანის პიესით „ნაპერწკლიდან“. თეატრის რეპერტუარი შევსებულია კლასიკოსებისა და საბჭოთა დრამატურგების ნაწარმოებებით. ახალ სეზონში თეატრი დასდგამს შექსპირის „მეფე ლირს“, შ. დადიანის „იდეა გაიმარჯვებს“, ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“ და სხვ.

ძველი დადგმებიდან აღდგენილი იქნება „პავლე გრეკოვი“, „პატარა კახი“, „კოლმეურნის ქორწინება“, „გრაფის ქვრივი“ და სხვ.

ბათუმი, 4 სექტემბერი (საქდესი). აჭარის სახელმწიფო თეატრში სეზონი 14 სექტემბერს გაიხსნება. თეატრის რეპერტუარი მნიშვნელოვნად არის შევსებული. ახალ სეზონში დაიდგმება: ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“, ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“, ვოინიჩის „კრაზანა“, პ. კაკაბაძის „ჯაჭვის ხიდი“, დ. თაქთაქიშვილის „უკვდავი ლაშქრობა“ და სხვ.

სეზონი გაიხსნება პიესით „უნიადაგონი“, რომელსაც რეჟისორი ვ. ჩომახიძე სდგამს.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის თეატრი ამზადებს ახალგაზრდა რეჟისორის ა. შარვაშიძის პიესას „მზე“.

გორი, 4 სექტემბერი (საქდესი). გორის სახელმწიფო თეატრი სეზონს 10 სექტემბერს იწყებს. ახალ დადგმებიდან თეატრი უჩვენებს მაყურებელს აკაკი წერეთლის „პატარა კახს“, ნ. მიქავას და გ. აბაშიძის „ბედნიერებას“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებას“, გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველს“, პ. ფრანგიშვილის „ქარავანს“ და სხვ.

დადგმებზე იმუშავებენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. ფრანგიშვილი და ახალგაზრდა რეჟისორი ო. ალექსიშვილი. ცალკე დადგმების გასაფორმებლად მოწვეული იქნებიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი ი. გამრეკელი და მხატვარი მ. გოცირიძე.

სიღნაღი, 4 სექტემბერი (საქდესი). სიღნაღის საკოლმეურნეო თეატრი მომავალ სეზონში განახორციელებს 14 ახალ დადგმას. მათ შორის არის შ. დადიანის „რუსთაველი“, ს. მთვარაძის „არსენა“, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, ქ. დევაძის „მამა“, ლოპე დე ვეგას „ძაღლი და თივა“ და სხვ.

სეზონი 20 სექტემბერს გაიხსნება პიესით „რუსთაველი“.

თეატრის კოლექტივი შევსებულია ახალი არტისტული ძალებით.

ს. მ. კიროვი

მყინვარზე ასვლა

(ნაწყვეტი ს. მ. კიროვის ნარკვევიდან)

ს. მ. კიროვი 1910 წ. მაისში, ემალებოდა რა ჟანდარმებს, ციმბირიდან გადმოვიდა კავკავში (ახლანდელი ორჯონიკიძე) და აქ თანამშრომლობდა ადგილობრივ გაზეთში „ტერეკ“.

ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად ს. მ. კიროვი აქ ეწეოდა ფართო რევოლუციურ მუშაობას მრავალეროვანი კავკასიის მშრომელთა შორის.

ს. მ. კიროვს უყვარდა მთები. ბუნება, უყვარდა მამაცი, გამბედავი მთიელები. იგი მარტო ან ამხანაგებთან ერთად ხშირად დადიოდა ახლობელ ან შორეულ მთებში, საძოვრებზე, აულებში და რაზმავდა მთიულებს ორგანიზებული ბრძოლისათვის.

ამავე 1910 წელს ს. მ. კიროვი რამდენიმე მთამსვლელთან ერთად ავიდა მყინვარზე. იმ დროისათვის ეს იშვიათი მოვლენა იყო. თავისი შთაბეჭდილებები ამ ალპურ ლაშქრობაზე ს. მ. კიროვმა აღწერა ნარკვევში „მყინვარზე ასვლა“. ეს ნარკვევი გამოქვეყნდა 30 წლის წინათ (1910 წ. 2 სექტ.) გაზეთ „ტერეკში“, 1939 წ. კი დაიბეჭდა ჟურნალში „На суше и на море“ № 12, საიდანაც ვბეჭდავთ ნაწყვეტს.

...მყინვარი სულ ახლო იყო.

ღრუბლების უსაზღვრო სივრცეში, რომლებითაც დაფარული იყო ჩრდილოეთით მდებარე თითქმის ყველა მთის მწვერვალი, სუსტად გამოკრთოდნენ მზის სხივები. ღრუბლიანი ზღვა განუწყვეტლივ ირხეოდა გიგანტურ ტალღებად. ზოგან გამოჩნდებოდნენ მთათა მწვერვალები, რომლებიც მოგვაგონებდნენ ოკეანის საშინელი ქარიშხლის დროს დასაღუპავად განწირულ ხომალდებს. ერთის წამით გამოჩნდება მწვერვალი, შეჰხედავს დილის ცას, მაგრამ მოვარდნილი ღრუბლების ტალღა კვლავ დაფარავს მას.

აქა-იქ მოსჩანან ფრიალო კლდეები, ღრიალით ეხეთქებიან ამ კლდეებს მღელვარე ტალღები, რომელთაც არ ძალუძთ მათი წალეკვა.

და რაც უფრო დიდხანს უცქერი ამ სტიქიას, მით უფრო ნათლად მოგაგონებთ იგი აბობოქრებულ ზღვას.

და მთელი ამ სანახაობის ზევით მშვიდად ამართული დიდებული მყინვარი იდუმალად დგას თავის სპეტაკ, თეთრ სამოსელში.

ოდესღაც მასაც უყვარდა ქარიშხალი, მის წიაღშიაც ბობოქრობდა სტიქია უფრო საშინელი, რომელიც ანადგურებდა არა ხომალდებს, არამედ მთელ გარემოს. უკიდურესი გაცოფების დროს მისთვის არ არსებობდა არავითარი დაბრკოლება. იგი თავზარს სცემდა მთელს დედამიწას. ერთის წამით ის ჰქმნიდა მთებსა და უფსკრულებს, სპობდა რა თავის ირგვლივ ყოველ სულდგმულს... ათასი წლობით ნაშრომს აქცევდა ფერფლად და აყრუებდა მთელ სამყაროს საშინელი გუგუნით...

ახლა კი... ახლა ის დგას ჩუმად, მშვიდად და მედიდურად დაჰყურებს მწვერვალიდან თავის ქმნილებას. მადლიერმა ბუნებამ მდიდრული სამოსელით მორთო იგი და დაუღალავად ადევნებს თვალყურს, რომ არავითარმა ძალამ არ დაარღვიოს მისი მყუდროება.

ნელა მივყვებით ჩვენ ერთიმეორეს და ღრმად ვიფლობით ფეხებით მყინვარის თოვლში.

ირგვლივ მკვდარი, უსიცოცხლო სიჩუმეა.

აღმოსავლეთით, ღრუბლების სიღრმიდან ზეიმით ამოდის დილის კაშკაშა მზე, რომელიც ოქროსფერ თბილ სხივებს აფრქვევს თოვლიან ველებს და მყინვარწვერს.

იანი*) ფრთხილად იკვლევს გზას, ჯოხით კვალავს თოვლს, რომ არ გადაიჩეხოს ყინულოვან ნაპრალში.

ოდნავ აღმართს ციცაბო აღმართი სცვლის: ჩვენ კონუსის ფუძეს ვუახლოვდებით.

დაგვრჩა ვერსნახევარი ყველაზე უფრო ძნელი გზა...

თანამგზავრთა ნაწილი ჩამორჩა...

მწვერვალის მისავალთან ჩვენ შევჩერდით და ვუცდით ჩამორჩენილებს. თავი ოდნავ მიბრუის; გული აჩქარებით სცემს; თავის ძალაში ოდნავ ეჭვი მებადება: ზევით ხომ ატმოსფეროს სიმსუბუქე თანდათან უფრო საგრძნობი იქნება. მაგრამ მე დოქტორ ჰოთმანის იმედი მაქვს. იქნებ მისმა წვეთებმა მიშველოს; მათ შესახებ ბევრი რამ უთქვამთ გამოცდილ ადამიანებს!

სული მოვითქვით და კონუსზე ასვლას შევუდექით.

ძლიერ ნელა მივდივართ.

ყოველი 10-15 ნაბიჯის შემდეგ ვჩერდებით, რომ ისევ სული მოვითქვათ. აღმართი ერთობ ციცაბოა—35, ზოგან კი 40 გრადუსიც.

რაც უფრო მაღლა ავდივართ, მით უფრო ნაკლები იმედი გვაქვს, რომ მწვერვალს მივაღწევთ.

განსაკუთრებით ძნელია კონუსის პირველი მესამედი, სანამ არ მიეჩვევი რამდენიმედ გაიშვიათებულ ჰაერს.

ღრუბლები თანდათან გაიფანტა, და მალე ჩვენს წინაშე გამოჩნდა დიდებული იალბუზის მოვარდისფრო მწვერვალი, მას იქით გამოჩნდნენ დიხ-ტაუსა და კოშტან-ტაუს და სხვ. პირქუში მწვერვალები.

პანორამა თანდათან იშლება და გვმატებს სიმკვირცხლეს, ენერგიას. გარდა ამისა, ატმოსფეროსაც ეჩვევი.

ერთერთმა თანამგზავრმა — ოფიცერმა—თავი ცუდად იგრძნო და სწრაფად იწყო თავქვე დაშვება.

კონუსის შუაზე დაიწყო ქარი. იგი თანდათან მატულობდა და მიაღწია ისეთ სიძლიერეს, რომ ჩვენ წინაღამ უარი ვსთქვით ჩვენი ამოცანის შესრულებაზე. მდგომარეობას ართულებდა აგრეთვე ის, რომ გვიხდებოდა საფეხურების ამოკვეთა, ვინაიდან კონუსის ზემო ნაწილი სრულიად თავისუფალი აღმოჩნდა თოვლისაგან და წარმოადგენდა სწორ, ყინულოვან ზედაპირს.

ქარი ისეთი ძალით გვეხეთქებოდა, რომ გეგონა, საცაა გადაგვაგდებს. ეს იყო ყველაზე მეტი უსიამოვნება, რომელიც ვიგრძენით მთელი ჩვენი მოგზაურობის დროს.

მაგრამ აი, კიდეც ვუახლოვდებით თვით მწვერვალს; კიდევ რამდენიმე წუთი—და ჩვენ იქ ვიქნებით.

გაჭირვებას ბოლო ელება, და მე გადავწყვიტე ვიარო საფეხურების დაუხმარებლად, მარტო წრიაპებით, რომლებიც, უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთულია, არაფრად არ ვარგან.

პირველ საათსა და 20 წუთზე ჩვენ მწვერვალზე ვიდექით.

არ შემიძლია ავსწერო ის დიდებული სურათი, რომელიც აქედან იშლება. გინდა დაეცე თოვლზე და ჰკოცნო იგი ალტაცებისაგან, რომელიც გიპყრობთ თქვენ ბუნების ამ გრანდიოზული მრავალფეროვანობისა და მისი უსაზღვრო სიდიადის ხილვისას.

ვერ წარმოიდგენთ ისეთ ადამიანს, თუ იგი სრულიად არ არის მოკლებული გრძნობას, რომელიც არ აღივსოს მოკრძალებით ამ წარმტაცი სანახაობის ხილვისას.

აქ შეიძლება დაივიწყო ცხოვრების ყოველგვარი გასაჭირი. აი ღვთაებრივი სილამაზე და სიდიადე, რომელთა შესახებ ოცნებაც კი კადნიერება იქნებოდა ყველაზე უფრო გენიალური მხატვრისათვის!

ამ სურათის მხილველი არასოდეს არ დაივიწყებს მას მთელს თავის სიცოცხლეში.

რა სივრცეა! რა მომხიბლავი სილამაზეა ყველა ამ თოვლის გიგანტში, რომლებიც ძლევამოსილად აღმართულან ზეცისაკენ!... ფერისა და იერის რა მრავალფეროვანებაა უსაზღვრო მთაგრეხილის ამ ფრიალო კლდეებში, რომლებიც იკარგებიან სადღაც შორს, შორს...

იქ კი ჩრდილოეთისაკენ გაფენილა უსაზღვრო ველი, რომელზედაც მიცურავენ ღრუბელთა უცნაური აჩრდილები, ეს ღრუბლები ვერ ბედავენ შენზე მაღლა აწევას.

ველზე მიიკლაკნებიან მდინარეები და გზები, აქა-იქ ოდნავ მოსჩანან სოფლები, იქ კი ნათლად სჩანს ქალაქი.

ის იმდენად მცირეა, რომ რუკას მოგაგონებს.

ქედს იქით თავს იყრიან ტყვიისფერი ღრუბლები, რომლებიც მზად არიან წვიმის თქეშად იქცნენ.

ირგვლივ სიჩუმეა; აქ არავინ არღვევს ამ მყუდროებას; აქ სიცოცხლის არავითარი ნიშანი არ სჩანს...

რა ღრმად აღელვებს ყოველივე ეს ადამიანის სულსა და გულს! მას იპყრობს ალტაცების ისეთი გრძნობა, რომლის გამოხატვა—ადამიანის ძალას აღემატება...

ჩვენდა სამწუხაროდ მწვერვალზე ყოფნა შეგვეძლო მხოლოდ 45 წუთით, რომელიც ერთ წამად მოგვეჩვენა.

ცხრაგრადუსიანმა ყინვამ და ძლიერმა ცივმა ქარმა, რასაც ადგილი აქვს მხოლოდ უსაზღვრო სივრცეში, ჩვენ გვაიძულეს მწვერვალი დაგვეტოვებინა.

ჩვენ გადავიღეთ საკუთარი სურათი და დღის 2 საათსა და 5 წუთზე ვიწყეთ უკან დაბრუნება.

გათვალისწინებული გვქონდა მწვერვალზე ზოგიერთი დაკვირვების მოხდენა, მაგრამ იძულებული გავხდით ამაზე ხელი აგვეღო.

ძირს დაშვება გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე აღმართში სვლა. მწვერვალიდან ერმოლოვის ქოხამდე ჩვენ სულ 2 საათსა და 15 წუთს ვიარეთ.

როგორ გვიმძიმდა ამ თვალისმომჭრელი თეთრი თოვლის სამყაროს დატოვება, სადაც ადამიანი და ყოველი ცოცხალი არსება ასე იშვიათი სტუმარია!

მეფურმა მყინვარმა მდუმარებით გაგვაცილა ჩვენ, თითქოს ნანობდა, რომ ვერ გაგვიმხილა ყველაფერი, რაც დაფარულია ყინულებისა და თოვლის ცივ სიღრმეში და მრისხანე ხეობებში; სადაც მზის სხივებიც ძლივს აღწევს...

---

*) იანი იყო მოხუცი მთიელი, ერთ-ერთი საუკეთესო გამყოლი მყინვარზე (რედ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილების გაცვლა ჰელსა და ლოთიანს შორის

ვაშინგტონი, 3 სექტემბერი (საქდესი). მას შემდეგ, რაც რუზველტმა გააკეთა განცხადება ინგლისის სამფლობელოებში სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზების შეძენის შესახებ, სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა წერილები, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა და ინგლისის ელჩმა ლოტიანმა. ამ წერილებიდან გამომდინარეობს, რომ ინგლისმა ვალდებულება იკისრა არ დაანებოს მტერს ინგლისის ფლოტი, თუ ინგლისის სამხედრო გემები ველარ გაუწევენ მას წინააღმდეგობას ინგლისის კუნძულებთან.

ჰელი ლოტიანისათვის 29 აგვისტოს თარიღით გაგზავნილ წერილში სწერდა: „არსებული ცნობების თანახმად, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა 1940 წლის 4 ივნისს პარლამენტში განაცხადა, რომ უკეთუ ახლანდელი ომის მსვლელობის დროს, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ინგლისი და ბრიტანეთის იმპერია, აღმოჩნდება, რომ ინგლისის სამხედრო გემები ვერ შესძლებენ დარჩენ იმ წყლებში, რომლებიც გარს არტყია ბრიტანეთის კუნძულებს, ინგლისის ფლოტს არავითარ შემთხვევაში არ დაანებებენ მტერს ან არ ჩასძირავენ მას, არამედ ოკეანის გადაღმა გაჰგზავნიან იმპერიის სხვა ნაწილების დასაცავად. ამასთან დაკავშირებით, ამერიკის მთავრობას უნდოდა შეჰკითხვოდა — გამოხატავს თუ არა აღნიშნული განცხადება ინგლისის გარკვეულად მიღებულ პოლიტიკას".

უპასუხებს რა ჰელის წერილს, ლოტიანი 2 სექტემბრის ნოტაში სწერს: „ინგლისის ელჩმა პრემიერ-მინისტრისაგან მიიღო ინსტრუქცია აცნობოს მინისტრ ჰელს, რომ ეს განცხადება სავსებით გარკვეულად გამოჰხატავს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას. მაგრამ ჩერჩილს ამასთანავე საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ეს იპოთეზური სიტუაცია უფრო შეეხება გერმანიის ფლოტს ან იმას, რაც მისგან დარჩება, ვიდრე ინგლისის ფლოტს". ჰელი 2 სექტემბრის ნოტაში იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ხალისით იღებს ინგლისის მთავრობის წინადადებას და დაუყოვნებლივ დანიშნავს ექსპერტებს იმ ექსპერტებთან შესახვედრად, რომლებსაც ინგლისის მთავრობა დანიშნავს ლოტიანის ცნობაში აღნიშნული სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზების ზუსტი განლაგების გამოსარკვევად. შემდეგ ჰელი იუწყება, რომ, ზემოაღნიშნული დეკლარაციების საფუძველზე, ამერიკის მთავრობა დაუყოვნებლივ გადასცემს ინგლისის მთავრობას ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის 50 საესკადრო ნაღმოსანს, რომლებიც ჩვეულებრივ 1.200-ტონიანი გემების ტიპს ეკუთვნიან.

ინგლისის ფლოტის ზარალი ომის პირველი წლის განმავლობაში

ლონდონი, 3 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ომის პირველი წლის განმავლობაში ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დაჰკარგა: სახაზო გემი „როიალ ოკი", ორი ავიამზიდი „კარეიჯესი" და „გლორიოსი", სამი კრეისერი, 30 საესკადრო ნაღმოსანი, 14 წყალქვეშა ნავი და დაახლოებით 30 სანაღმო ტრალერი.

ინგლისის სავაჭრო ფლოტის ზარალი

ლონდონი, 3 სექტემბერი (საქდესი). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ კვირის განმავლობაში, რაც 25 აგვისტოს დამთავრდა, ინგლისის სავაჭრო ფლოტმა დაჰკარგა 13 გემი 69.340 ტონა წყალწყვისა. ამას გარდა, დაიღუპა ერთი გემი 1.718 ტონა წყალწყვისა, რომელიც მოკავშირეებს ეკუთვნოდა, და ორი გემი, რომლებიც ნეიტრალურ სახელმწიფოებს ეკუთვნოდა, 8.692 ტონა წყალწყვისა. როგორც სამინისტრო აღნიშნავს, გერმანიის ცნობა იმის შესახებ, რომ ამ კვირაში ჩაძირულ იქნა ინგლისის გემები 183.964 ტონა საერთო წყალწყვისა, ერთიორად აღემატება ინგლისის ნამდვილ ზარალს.

ორ სექტემბრამდე, — იუწყება შემდეგ სამინისტრო, — ჩაძირულ იქნა მტრის გემები 1.196 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა, აქედან გერმანიის წილად მოდის 923 ათასი ტონა და იტალიის წილად — 273 ათასი ტონა. ამას გარდა, ჩაძირულია 32 ათასი ტონა საერთო წყალწყვის გემები, რომლებიც ნეიტრალურ ქვეყნებს ეკუთვნოდა, და გერმანიამ ხელთ იგდო.

იაპონელთა მიერ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფალთათვის გაგზავნილი ულტიმატუმი

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი (საქდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ იაპონელებმა საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფალთ ხანოიში ფაქტიურად ულტიმატური მოთხოვნა გადასცეს; ისინი მოითხოვენ, რომ საფრანგეთის ინდო-ჩინეთზე ტრანზიტად გაატარებინონ ჯარი ჩინეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციებისათვის. იაპონელები მოითხოვენ პასუხის დაუყოვნებლივ გაცემას.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 4 სექტემბერი. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა აქვეყნებს შემდეგ ცნობას: „წყალქვეშა ნავმა, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი ენდრასი სარდლობს, ჩასძირა მტრის 6 შეიარაღებული სავაჭრო გემი, 51.507 რეგისტრული ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა.

3 სექტემბერს ჩვენი ავიაციის შენაერთებმა კვლავ მიიტანეს იერიში სამხრეთ ინგლისის აეროდრომებზე. ბომბარდირება განიცადეს ანგარებმა და ვერფებმა, რის შედეგადაც ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ღამით ყუმბარა დავუშინეთ ინგლისის ნავსადგურებს, სამხედრო საწყობებსა და აეროდრომებს. ბომბარდირების შედეგად დიდი ხანძარი გაჩნდა ლივერპულში, ევონუთში, ბრისტოლში, პორტლენდში, პულში, როჩესტერსა და მიდლსბროში.

ინგლისის თვითმფრინავები ცდილობდნენ ღამით ყუმბარა დაეშინათ ბერლინისათვის; მაგრამ ყუმბარები არ ჩამოუყრიათ. ბრანდენბურგის რაიონში, აგრეთვე გერმანიის ზოგიერთ სხვა ადგილას მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს რამდენიმე ობიექტს, მაგრამ მნიშვნელოვანი ზიანი არ მოუყენებიათ.

გუშინ მტერმა დაჰკარგა 62 თვითმფრინავი. ჩვენი 10 თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა".

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 4 სექტემბერი. ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ ორ სექტემბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს შლებუშის ფეთქებად ნივთიერებათა ქარხანას, კელნის ჩრდილო-აღმოსავლეთით და იტალიაში სან-პიერ დარენის რკინიგზის კვანძს, გენუის მახლობლად.

ინგლისის თვითმფრინავთა მეორე შენაერთმა ყუმბარა დაუშინა გენუის ელექტროსადგურს, ლიუდვიგსჰაფენის და ფრანკფურტის ნავთსაცავებს, შტუტგარტის სამხედრო საწყობებს, დორტმუნდ-ემსის არხს, საფრანგეთის ნავსადგურ ლორიანს და მტრის საქვემეხო ბუდეებს გრი ნეზ კონცხზე.

სანაპირო თავდაცვის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მტრის გემს ჰოლანდიის სანაპიროსთან და ხომალდს სოგნე-ფიორდის ნორვეგიის ნავსაყუდელში. თავდასხმა მოეწყო ფლიუშინგის ნავთის რეზერვუარებსა და ოსტენდის ნავსაყუდელზე. ავიაციამ ჩამოაგდო მტრის მფრინავი ნავი „დორნიეს" ტიპისა. ინგლისის სამი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

მტრის თავდასხმას კენტის საგრაფოს სანაპიროსა და ტემზის შესართავზე შედეგი არ მოჰყოლია. ყუმბარები მხოლოდ ერთ პუნქტში ჩამოჰყარეს. ზიანი უმნიშვნელოა. დაიჭრა რამდენიმე კაცი. ბომბარდირება განიცადა შოტლანდიის ზოგიერთმა რაიონმაც. როგორც ახლა გამოირკვა, 2 სექტემბერს საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა მტრის 55 თვითმფრინავი.

ლონდონი, 4 სექტემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ გერმანიის ყუმბარმშენთა 3 დიდი რაზმი, რომელთაც ავიაგამანადგურებლები ახლდნენ, შეეცადა ლონდონში შემოჭრილიყო, მაგრამ ისინი უკუქცეულ იქნენ. მტრის მრავალი თვითმფრინავი გამოჩნდა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე და სულ ამ დღეს თავდასხმაში მონაწილეობდა 400-მდე ყუმბარმშენი. წინასწარი ცნობებით, რამდენიმე ყუმბარა ჩამოგდებულია კენტისა და ესექსის საგრაფოებში, ზიანი უმნიშვნელოა. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე კაცი. ბრძოლაში მოსპობილ იქნა გერმანიის 23 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 15 თვითმფრინავი.

ლონდონი, 4 სექტემბერი. გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" იუწყება, ინგლისი უახლოეს ხანში გამოუშვებს ახალ 4-მოტორიან ყუმბარმშენებს, რომლებსაც არსებულ ყუმბარმშენებზე მეტი ტვირთის ზიდვა შეუძლიათ.

ინგლის-იტალიის ომი

რომი, 4 სექტემბერი. როგორც იტალიის სარდლობის მორიგი ცნობა აღნიშნავს, „ყველა ფრონტზე ნორმალური აქტივობით მოქმედებენ დაზვერვა და მეწინავე ნაწილები".

ბერლინი, 4 სექტემბერი. სტეფანის სააგენტოსაგან აქ მიღებული ცნობით, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები, იტალიის ავიაციის მხრივ განუწყვეტელი იერიშების გამო, იძულებული ხდებიან, რომ გიბრალტარიდან, მალტიდან და ალექსანდრიიდან ღია ზღვაში გავიდნენ დღისით, რათა ადგილის გადანაცვლების შემდეგ მხოლოდ ღამით დაბრუნდნენ ამ ნავსადგურებში.

უკანასკნელ დღეებში მალტის რაიონში შეამჩნიეს, რომ დადიოდა ინგლისის ორი ესკადრა—ერთი ლა-ვალეტის მახლობლად, მეორე—დაახლოებით 50 კილომეტრზე მალტიდან. იტალიის მოპიკირე ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს მეორე ესკადრაზე და დააზიანეს ავიამზიდი. სახაზო გემი და მძიმე კრეისერი დაზიანების გამო მწყობრიდან გამოვიდნენ. ერთდროულად იტალიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს მალტის კუნძულზე. (საქდესი).

ინგლის-ამერიკის შეთანხმება

ლონდონი, 4 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს განცხადებით, ინგლისისათვის განკუთვნილ თხუთმეტ საესკადრო ნაღმოსანთაგან პირველი რვა ნაღმოსანი ბოსტონშია და 6 სექტემბერს მზად იქნება კანადას გასაგზავნად. კანადამდე საესკადრო ნაღმოსნები ამერიკის ეკიპაჟებით წავლენ, შემდეგ კი მათ ინგლისის ეკიპაჟები შესცვლიან. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო აცხადებს, რომ გადაცემული საესკადრო ნაღმოსნების ღირებულება დაახლოებით 85 მილიონ დოლარს შეადგენს.

საესკადრო ნაღმოსნების ორი ან სამი ჯგუფი, თვითეული ჯგუფი 8 ნაღმოსნის შემადგენლობით, ინგლისს გაიგზავნება ორ-ორი კვირის ხანგამოშვებით.

იაპონიის ხელისუფალნი აფრთხილებენ ინდო-ჩინეთს

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით იაპონიის საინსპექციო მისიის მეთაურმა გენერალ-მაიორმა ნისიხარამ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფლება გააფრთხილა, 6 სექტემბერს იაპონიის ჯარი შენს ტერიტორიაზე შევაო.

ყუმბარსაფარების ნაკლებობა ინგლისში

ლონდონი, 3 სექტემბერი (საქდესი). ინგლისური პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ინგლისის მოსახლეობას, ღამღამობით გერმანიის თვითმფრინავების ხშირი თავდასხმების შედეგად, შესაძლებლობა არა აქვს იძინოს. „ნიუს-ქრონიკლი" სწერს, რომ ახლა ინგლისში მიწისქვეშა საწოლები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ხალხი ახალ ვითარებას ეგუება. სკამების ნაცვლად თავშესაფარებში სალაშქრო საწოლები მიაქვთ და პირველივე საჰაერო განგაშის შემდეგ მთელ ღამეს იქ რჩებიან. გაზეთი „დეილი ჰერალდი" მოწინავე სტატიაში მოუწოდებს დიასახლისებს იძინონ სარდაფებში და კიბეებქვეშ. „თუ თავშესაფარი არა გაქვთ, მოაწყეთ იგი კიბის ქვეშ და მაშინ შეგეძლებათ დაიძინოთ. თუ ისეთი თავშესაფარი გაქვთ, სადაც წოლა არ შეიძლება, ისწავლეთ ჯდომელა ძილი",—სწერს გაზეთი.

მოსახლეობაში უკმაყოფილება იზრდება იმის გამო, რომ ინგლისში საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება ყუმბარსაფარები. მაღაროელთა კავშირის 5 ადგილობრივმა აღმასკომმა მხარი დაუჭირა მოთხოვნას—მოეწყოს ახალი ყუმბარსაფარები. განსაკუთრებით გამოსთქვამს უკმაყოფილებას კროიდონისა და ინგლისის იმ ადგილების მოსახლეობა, რომლებსაც ხშირად უშენენ ყუმბარებს. საუტ-ჰეტონში (დერგემის საგრაფო) და ჰარლინგტონში (იორკის საგრაფო) მშობლებმა სკოლებიდან წაიყვანეს თავიანთი შვილები და განაცხადეს, რომ მათ არ გაუშვებენ სკოლებში მანამდე, სანამ სკოლები თავშესაფარებით არ იქნება უზრუნველყოფილი.

გუშინ ლონდონში დააპატიმრეს საჰაერო თავდაცვის რაზმის ყოფილი უფროსი ბრენსონი იმისათვის, რომ მან თავის სიტყვაში შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრ ანდერსონს ბრალად დასდო მოსახლეობისათვის საჭირო ყუმბარსაფარების მომზადების ჩაშლა.

ლონდონი, 3 სექტემბერი (საქდესი). სამხრეთ-უელსის მაღაროელთა ფედერაციის სპეციალურმა კონფერენციამ, რომელიც 31 აგვისტოს იყო მოწვეული, მიიღო რეზოლუცია. ამ რეზოლუციით კონფერენცია სასტიკად ჰკიცხავს ხელისუფლებას, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო საკმაო რაოდენობის თავშესაფარები ქალებისა და ბავშვებისათვის. კონფერენციამ წინადადება მისცა ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტს და პარლამენტის წევრებს მოსთხოვონ შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა ყველა საჭირო ზომა მიიღოს სამხრეთ-უელსის მოსახლეობის დასაცავად.

შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევა

ბერლინი, 3 სექტემბერი (საქდესი). საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს შვეიცარიის არმიის შტაბის ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ 2 სექტემბერს ღამით შვეიცარიას კვლავ გადაუარეს უცხოეთის თვითმფრინავებმა 4-დან 5 ათას მეტრამდე სიმაღლეზე. თვითმფრინავთა რიცხვი დაახლოებით 20-ს უდრიდა. შვეიცარიის საზენიტო არტილერიამ თვითმფრინავებს სროლა აუტეხა.

შვეიცარიის ჩრდილოეთ საზღვარზე დიდმა თვითმფრინავმა აგრეთვე არაერთხელ დაარღვია შვეიცარიის ნეიტრალიტეტი. თვითმფრინავების ტიპები და გაფრენის მიმართულება საშუალებას გვაძლევს კვლავ ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ შვეიცარიის ნეიტრალიტეტი ინგლისის თვითმფრინავებმა დაარღვიეს.

შვეიცარიის მთავრობის განცხადება

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, შვეიცარიის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ლონდონიდან გაიწვევს თავის დესპანს იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის მთავრობა დამაკმაყოფილებელ პასუხს არ გასცემს იმ პროტესტებზე, რომლებიც მან შვეიცარიის მთავრობამ გაუგზავნა ინგლისის სამხედრო თვითმფრინავების მიერ შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო.

ბულგარეთის პრემიერ-მინისტრ ფილოვის განცხადება ბულგარეთ-რუმინეთის მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ

სოფია, 3 სექტემბერი (საქდესი). გუშინ პრემიერ-მინისტრმა ფილოვმა დედაქალაქის პრესის წარმომადგენლები მიიღო და გააცნო ისინი ბულგარეთ-რუმინეთს შორის კრაიოვაში წარმოებული მოლაპარაკების მსვლელობას.

მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ტერიტორიულ საკითხზე,—განაცხადა სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრმა, წარმოიშვა მთელი რიგი სიძნელენი საფინანსო საკითხში და განსაკუთრებით სამხრეთ-დობრუჯის ევაკუაციისა და ბულგარეთის ჯარის მიერ მისი ოკუპაციის საკითხში.

სამხრეთ-დობრუჯიდან რუმინელი მოსახლეობის და ჩრდილოეთ-დობრუჯიდან ბულგარელი მოსახლეობის ევაკუაციის საკითხზე შეთანხმება მიღწეულია. საფინანსო საკითხებში ჯერ კიდევ არის ერთგვარი სიძნელე. მაგრამ,—სთქვა ფილოვმა, — ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხებზეც შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება. უკიდურეს შემთხვევაში, თუ საფინანსო საკითხებზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ჩვენ მზადა ვართ არბიტრაჟის საშუალებით გადავჭრათ ეს საკითხი. უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც გადასაჭრელია, — განაცხადა ფილოვმა,— არის ბულგარეთის ჯარის მიერ სამხრეთ-დობრუჯის დაკავების საკითხი. აქ სხვადასხვა თვალსაზრისია. ჩვენ შორეულად და მიუღებლად მიგვაჩნია ის ვადა, რომელსაც რუმინეთი სახავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბულგარეთის ჯარის მიერ სამხრეთ-დობრუჯის დაკავების ვადა მოახლოებულ და შემცირებულ უნდა იქნას. ამ საჭიროებას ის გარემოებაც იწვევს, რომ ამ უკანასკნელ ხანს სამხრეთ-დობრუჯის ბულგარელ მოსახლეობას უსამართლოდ სდევნიან ზოგიერთი უპასუხისმგებლო წრეები, რის შედეგადაც ინციდენტები შეიქმნა.

ჩვენ იმედი გვაქვს,—დაამთავრა პრემიერ-მინისტრმა,—რომ უახლოეს 1-2 დღეში ყოველივე დავა გადაჭრილი იქნება.

უნგრეთ-რუმინეთის კომისიის გადაწყვეტილება ტრანსილვანიის ევაკუაციის შესახებ

ბუქარესტი, 3 სექტემბერი (საქდესი). რუმინეთ-უნგრეთის შერეულმა კომისიამ, რომელიც გუშინ ორადიაში შეიკრიბა, დაადგინა, რომ ტრანსილვანიის ევაკუაცია მოხდება თანდათანობით 5-დან 15 სექტემბრამდე.



სტალინირის (სამხრეთ-ოსეთი) სახელმწიფო თეატრი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების

20 წლისთავისათვის

ქართველი კომპოზიტორები ახალ-ახალ ნაწარმოებებს ჰქმნიან

ქართველმა კომპოზიტორებმა მზადება გააჩაღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის. ისინი ახალ-ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებს ჰქმნიან, რომლებიც მზიური საქართველოს მშრომელთა ბედნიერ ცხოვრებას ასახავენ.

კომპოზიტორები — ა. ბალანჩივაძე, კ. მეღვინეთუხუცესი, გ. კილაძე, ა. ბუკია, დ. შვედოვი საერთო-სახალხო დღესასწაულისადმი მიძღვნილ სიმფონიებზე მუშაობენ; კომპოზიტორი გ. კოკელაძე სწერს სიმფონიურ პოემას ლენინის შესახებ, ხოლო კომპოზიტორები — რ. გაბიჩვაძე, ა. მაჭავარიანი, ვ. კურტიდი — სიმფონიურ პოემებს სტალინის შესახებ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ სიმფონიურ პოემებზე მუშაობენ კომპოზიტორები — შ. აზმაიფარაშვილი და ვ. უმრ-შატი.

კომპოზიტორი დ. არაყიშვილი სწერს კანტატას, შ. თაქთაქიშვილი ვოკალურ ციკლს „სამშობლოს", ა. ანდრიაშვილი— საზეიმო მარშს, ო. ბარამიშვილი — რომანტიულ პოემას სიმფონიური ორკესტრისათვის, თ. შავერზაშვილი — ლირიკულ პოემას, დ. სლიანოვა — ვოკალურ ნაწარმოებს ორკესტრით „სახლი გორში".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის კომპოზიტორი ვ. გოკიელი ამზადებს ოპერა „გელას" (აკაკი წერეთლის დრამატიული პოემის „პატარა კახის" მიხედვით); ამავე დროისათვის კომპოზიტორი გ. კილაძე დაამთავრებს ოპერას „ლადო კეცხოველს", შ. მშველიძე — ოპერა „ვეფხის ტყაოსანს", ი. ტუსკია — ოპერა „სამშობლოს".

ახალი ნაწარმოებების შექმნაზე მუშაობენ აგრეთვე კომპოზიტორები — ა. ტიგრანიანი, ნ. მკრტიჩიანი, ა. კერესელიძე, ვ. ცაგარეიშვილი, ბ. ავეტისოვი, ს. ბარხუდარიანი, ნ. გუდიაშვილი და სხვ. (საქდესი).

აწჰესი საქართველოს ელექტროსადგურთა ჯგუფში შედის

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს დადგენილებით აწჰესი მიღებულია სამრეწველო ექსპლოატაციისათვის. გაღებულია სახსრები სადგურის მშენებლობის დროს დაშვებული სხვადასხვა დეფექტის გამოსასწორებლად, აგრეთვე აწჰესის მუშათა დაბის გასაფართოებლად.

ამჟამად შენდება გადამცემი ხაზი, რომლის მეშვეობითაც აწჰესი საქართველოს ელექტროსადგურთა საერთო ჯგუფს შეუერთდება. დამთავრებულია საყრდენების ამოყვანა; უახლოეს მომავალში დაიწყება ხაზის მონტაჟი.

აწჰესი საქართველოს ელექტროსადგურთა ჯგუფს ა. წ. მე-4 კვარტალში შეუერთდება. (საქდესი).

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატსა და პროკურატურაში

ხულიგნობისა და ქურდობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული და ქ. თბილისის სასამართლოებში მსჯავრი დაედოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების დამრღვევთ:

მ. ჯ. ალიევს — ბავშვთა კლინიკაში დებოშის ატეხისა და კლინიკის თანამშრომელთა ცემისათვის მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა.

შ. ზ. მარღიშვილს — სასტუმრო „კოლხიდაში" აყალ-მაყალის ატეხისა და მოქალაქეთათვის შეურაცხყოფის მიყენებისათვის მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა.

მ. დ. ელიაზაროვს — სასტუმრო „კოლხიდაში" დებოშის ატეხისა და მოქალაქეთა შეურაცხყოფისათვის მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა.

ნ. ნ. მედვედევას — თამბაქოს ფაბრიკიდან 100 ცალი პაპიროსის მოპარვისათვის მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა.

გ. ი. ივანოვას — თამბაქოს ფაბრიკიდან 80 ცალი პაპიროსის მოპარვისათვის მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა.

მ. ს. შევჩენკოს — თამბაქოს ფაბრიკიდან 100 ცალი პაპიროსის მოპარვისათვის მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა.

ლ. გ. ისაევას — თამბაქოს ფაბრიკიდან 80 ცალი პაპიროსის მოპარვისათვის მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა.

ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისგებაში

სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა შეამოწმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა საბჭოთა კონტროლის კომისიის რწმუნებულმა საქართველოში და ამ ბრძანებულების დამრღვევთა საქმეები პროკურატურას გადასცა.

არტელი „ხიმკოოპი" სისტემატურად ცუდი ხარისხის ქიმიურ პროდუქციას უშვებდა, რის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს არტელის თავმჯდომარე მ. ი. კუკოლი და საამქროს გამგე ქ. ი. ფიშლერი, ისინი მალე წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

თბილისის № 1 ნახევრად მექანიზებული ქარხნიდან ხშირად უშვებდნენ ცუდი ხარისხის პურს. ქარხნის დირექტორი ს. ა. არუთინოვი და დირექტორის მოადგილე გ. ს. კიურეგიანი მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. დამნაშავენი მსჯავრდადებული არიან.

საბჭოთა კონტროლის კომისიის რწმუნებულმა აღნიშნა, რომ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატისა და თბილპურვაჭრობის პურ-ფუნთუშის და საკონდიტრო ნაწარმის ხარისხის ინსპექციის საქართველოს სამმართველო და საქართველოს სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის ინსპექცია ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენენ წუნისმკეთებლებისადმი, ჯეროვანად არ იბრძვიან პროდუქციის ხარისხისათვის.

„ძახილი მთაში"

„ფედერაციამ" გამოსცა იაკინთე ლისაშვილის რომანი „ძახილი მთაში". რომანი შესდგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი წინა წლებში ცალკე წიგნად იყო გამოცემული, მეორე ნაწილი პირველად ქვეყნდება.

წიგნი შეიცავს 442 გვერდს, ჩასმულია ლამაზ ყდაში, სუფთად არის გამოცემული და ღირს 15 მან. 50 კაპ.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

6 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის დინამოს სტადიონზე ჩატარდება მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდებიან კიევისა და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდები. ორივე გუნდი ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს.

თამაშის დასაწყისი 5 საათსა და 45 წუთზე.

მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" და სტალინგრადის „ტრაქტორის" ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე დამთავრდა „კრილია სოვეტოვის" გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ლენინგრადის „დინამომ" მორიგი მატჩი მოუგო მოსკოვის „მეტალურგს" ანგარიშით 3:1.

მოსკოვის „ტორპედომ" მორიგი შეჯიბრება „სტახანოველთან" მოიგო ანგარიშით 3:0.

○

გუშინ, 4 სექტემბერს ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდები.

მატჩი დამთავრდა მოსკოვის „ლოკომოტივის" გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 1673624, გაცემული ალექსანდრე ტარასის-ძე **ნიკურაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 2163752, გაცემული ამბერკი ვასილის-ძე **სოხლიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „მანერჰაიმის ხაზი", **ოქტომბერი** — „ელისო", **დამკვრელი (ზაფხულის)** — „დარიკო", **დამკვრელი (ზამთრის)** — „მასწავლებელი", **კომკავშირელი (ზაფხულის)**—„ახალი დროება", **კომკავშირელი (ზამთრის)** — „პეტრე პირველი" (I სერია), **ლუქსემბურგის სახ.** — „ჩემი სიყვარული", **კომინტერნი** — „შემთხვევა პატარა სადგურზე", **26 კომ. სახ. (ზაფხულის)** — „ფედკა", **26 კომ. სახ. (ზამთრის)** — „გიქორ", **სპარტაკი** — „ნამუსი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50
საზაფხულო თეატრი
5 სექტემბერს მე-4 აბ. მე-7 წარმ. მ—ლ ნიტუში
6 სექტემბერს 1 აბ. მე-8 წარმ. ურთიერთ სიყვარული დასაწყ. 9 საათზე.
ღია ესტრადა
5 და 6 სექტემბერს საიათ-ნოვას სიმღერების საღამო.
დახურული თეატრი 6 და 7 სექტემბერს სახესტრადის ვოდევილების თეატრის წარმოდგენები დასაწყისი საღ. 10 საათზე.
შესვლა ღია ესტრადაზე და დახურულ თეატრში—ბაღში შესასვლელი ბილეთებით.

თბილისის საზ. კვების ტრესტი აცხადებს, რომ სასწავლო კომბინატის კულინარულ სკოლაში მისაღებ მოსწავლეთა
განცხადებების მიღება 1940-41 სასწ. წლისათვის გაგრძელებულია 10 სექტემბრამდე
სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი, სკოლა ამზადებს მაღალკვალიფიციურ მზარეულებს.
მიღებული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან: სტიპენდიით 75 მან., საერთო საცხოვრებლით და სასწავლო ნივთებით.
სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 16 წლიდან 30 წლამდე.
საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:
1) განათლების მოწმობა—არანაკლებ 4 კლასისა, 2) ჯანმრთელობის მოწმობა, 3) მეტრიკული ამონაწერი და 4) ორი ფოტოსურათი. პასპორტი უნდა იქონიონ ხელზე.
სასწავლო კომბინატის მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. № 24.
351 ტრესტის დირექცია.

ჩვილ ბავშვთა სახლის დირექცია აცხადებს იმ მშობლების საყურადღებოდ,
რომლებმაც ამა წლის მაისამდე ბავშვები დროებით მოათავსეს ხსენებულ სახლში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ათი დღის ვადაში გაიყვანონ ისინი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვები გაშვილებული იქნებიან.
340 დირექცია.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,
რომ ექსტერნთა მიღება 1940/41 აკ. წ. იწარმოებს მხოლოდ ფილოლოგიის (ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, უცხო ენები), ისტორიის, ფილოსოფიის და იურიდიულ ფაკულტეტებზე.
განცხადებების მიღება 15-დან 30 ოქტომბრამდე.
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე
156

განცხადებების მიღება
თბილისის ვეტერინალური ტექნიკუმის პირველ კურსზე ჩასარიცხავად გაგრძელებულია.
337 დირექცია.

„საქსარეწვაჭრეკავშირის" ფანერის ქარხნის ადმინისტრაცია აცხადებს ავტოტრანსპორტის მქონეთა საყურადღებოდ,
რომ მას გადმოსატანი აქვს მორები თიანეთის რაიონიდან.
პირობების გაგება შეიძლება ფანერის ქარხანაში, ღრმაღელე, მაგნიტოგორსკის № 8. ტელეფონი № 3-24-26.
1124

ძმა ამბაკო, რძალი აგრაფინა, ძმისწულები ლიდა, დათიკო ცოლით ვერათი შვილებით ბუდუკათი და ლილიკათი ჯავახიები იუწყებიან
კირილე (წუთისოფლელ) ჯავახიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ცხაკაიაში 6/IX. 7725

ბაბუა ნიკო, ბებია ჩატუ შვილებით, ბამბუსია, შალვა, ვახუშტი პატარა ნანულით შენგელიები იუწყებიან
ირაკლი (ბეხუ) შიოს-ძე მაჭარაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/IX 7 ს. გამოსვენება 6/IX 6 ს. წერეთლის 15. 7722

ბორჯაძე, კაჭარავა, ხუპუა, შათირიშვილი, ჯახელიძე, მგელაძე, კობახიძე, ჭანიშვილი, ქეიშვილი, დაფქვიაშვილი შენაბდე, ზირაქიშვილი, კაკაბაძე, წულაია იუწყებიან წოე ქებაძის მამის
ილიას
გარდაცვალებას. 7726

კახტანგ ქორჩაძე, ალიკო აბულაძე, ეორა დონდუა, თემურ ქეშელაშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრის ნიკოლოზ ბახტაძის დედის
მატილდა კონსტანტინეს-ასულ ბახტაძის
გარდაცვალებას. 7723

თამარ შენგელია და შიო მაჭარაძე იუწყებიან შვილის
პატარა ბეხუს
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/IX 7 ს გამოსვენება 6/IX 6 ს. წერეთლის 15 დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 7727

ალექსანდრე შარაშიძე, ლეონიდე თოდრია, ნატალია, ტატიანა, ცაცა, ბესო და ნელი შარაშიძეები იუწყებიან
ნიკიფორე ვლადიმერის-ძე ჩხიკვიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/IX დაბლა-ციხეს (ჩოხატაური). 7728

პანტელეიმონ და მარგარიტა ნადირაძეები, გიორგი და ანასტასი ჩხიკვიშვილები შვილებით იუწყებიან
ნიკიფორე ვლადიმერის-ძე ჩხიკვიშვილის
გარდაცვალებას. 7729

შვილები ეკატერინე, დარო, სირანა, ელისო, ანაიდა ქმარშვილებით, და ხალო იუწყებიან
მანუშაკ მელიქის-ასულ აკოფოვას
გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. თიანეთში 5/IX. 7730

ავთანდილ ზესარიონის-ძე ქლიკაძე იუწყება დედის
ქრისტინე (ალმასო) როსტომის-ასულ ქლიკაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 8/IX 5 ს. მიროლელთა ქ. 13. 7731

ქმარი ვასო, შვილები კოლია, ეთერ, ლუბა, მული სოფიო, მაზლი მიხეილ ცოლშვილით იუწყებიან, რომ 8/IX 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
მარიამ ანდრიას-ასულ ქობულაშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 7724

ექიმები შერგელაშვილი, კვეკვეცია, ჯორბენაძე, ჯინჭველაძე, ხითარიშვილი, კვირკველია, მოსესოვი, კირაჩოვი, გვაზავა კალაშნიკოვი, ფრიდმანი, ხუბაევა, სადატერაშვილი, კვირკველია, ფორცხიძე, ბელქანია, ემელიანოვა, ლევინა იუწყებიან
ნადია ვაჩაძის
გარდაცვალებას. 335

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უქ 1153